დანართი №2

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: თეა გაბელაია
**წევრები:**
1.ია ძირკვაძე- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
2. თამარი ოღლიშვილი- (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ინგა ხავთასი-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. თეა მამულია -(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ეკა მოსიაშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ნანა ჩავლეშვილი-(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. მზია შევარდნაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. მიმოზა ტყებუჩვა - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ლია ნეფარიძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. მანანა როსტომაშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

| **ინფორმაცია შესახებ** | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | **სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **სსიპ საჯარო სკოლა** |

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **240412380** |

**II. საკონტაქტო ინფორმაცია**

| **საკონტაქტო ინფორმაცია** | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქალაქი სიღნაღი** |
| იურიდიული მისამართი | **ქალაქ სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ქალაქ სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13** |
| საფოსტო ინდექსი | **4200** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | **Sighnaghi1@gmail.com** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | **0355232109** |

**III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ბრძანება MES 6230001252088( 28.09 2023 წელი**)** |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 30, 31 ოქტომბერი, 2023 წელი |

**IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ**

**„ზოგადი განათლების შესახებ“** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო |
|---|---|---|---|---|

| | **პროგრამის სახელწოდება** | **პროგრამის საფეხური** | **პროგრამის განხორციელების ენა** | **პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქ სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქ სიღნაღის, სარაჯიშვილის ქუჩა N13 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქ სიღნაღი, სარაჯიშვილის ქუჩა N13 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 31 და 30 ოქტომბერს სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თეა გაბელაია--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე - ადგილზე ვიზიტი)

**წევრები:**

1.ია ძირკვაძე- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
2. თამარი ოღლიშვილი- (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ინგა ხავთასი-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. თეა მამულია -(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ეკა მოსიაშვილი- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ნანა ჩავლეშვილი-(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

7. მზია შევარდნაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. მიმოზა ტყებუჩვა - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ლია ნეფარიძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. მანანა როსტომაშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, სკოლის ინფრასტრუქტურას და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობებს.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

| **წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა** | **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა** |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის საუკეთესო გამოცდილებად და გამორჩეულ პრაქტიკად უნდა ვაღიაროთ სკოლის თანამშრომლობითი კულტურისა და გუნდური მუშაობის  მაღალი დონე.

**ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები**

**I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი** 1.1<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 1.2<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი** 3<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.1<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.2<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი** 3.3<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| **მოსწავლეთა რაოდენობა:** 400 | **ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒ | **აღწერა** (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას) |
|---|---|---|

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

**ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა II სტანდარტის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე .**

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

| **სტანდარტი N1** | **სკოლის ფილოსოფია** | **ხარვეზი** |
|---|---|---|
| | | |
| | | |

| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |
| **სტანდარტი N4** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| | | |
| | | |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N3.4.1.1 | „სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს“ | რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუმველყოს სკოლის ტექნიკური მდგრადობისა და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნის მოპოვება 2023 წლის 30 ივნისიდან 2024 წლის 24 მაისის ჩათვლით ჩათვლით. |
| ინდიკატორი N3.6.3.1 | „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზ შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ | რეკომენდაცია : სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 2023 წლის 0 ნოემბრიდან 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით. |
| ინდიკატორი N3.6.3.4 | შესაბამისად, „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“. | რეკომენდაცია : სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 2023 წლის 0 ნოემბრიდან 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით. |
| ინდიკატორი N3.6.3.5 | „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებ და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთა დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.“ | რეკომენდაცია : სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შექმნა და ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვა 2023 წლის 2023 წლის 0 ნოემბრიდან 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით. |
| **სტანდარტი N4** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია** |

| ინდიკატორი<br><br>N.... | | |
|---|---|---|

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br><br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | .............. |
| | | |

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| **ინდიკატორი**<br><br>1.2.1.2 | სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს | რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დოკუმენტის დამტკიცებისას გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალისა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირების განსაზღვრა. |
| **ინდიკატორი**<br><br>1.2.1.4 | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი | რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმით მისაღწევი მიზნებისათვის განსაზღვროს საჭირო რესურსების ჩამონათვალი. |

| | | |
|---|---|---|
| | პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | |
| **სტანდარტი N3** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | **რჩევა** |
| **ინდიკატორი 3.1.2.3** | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით | რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული პირების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ცნობების წარმოდგენა გონივრულ ვადაში. |
| **ინდიკატორი 3.2.1.4** | სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან | რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზის მიმდებარედ განთავსებული ერთი ოთახის, რომელიც წარმოადგენს შენობის ნულ სართულს და ნახევრად მიწით არის ამოვსებული, რეაბილიტაცია. |
| **ინდიკატორი 3.4.1.1** | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩე | რჩევა :<br>სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის. |
| **ინდიკატორი 3.6.2.1** | სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი | რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ელექტრონული საქმის წარმოებისთვის რა რესურსებსა და მექნიზმებს იყენებს. |
| **სტანდარტი N4** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **რჩევა** |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)** | **რჩევა** |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი<br><br>2.1.2.2 | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | **რჩევა:** დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე მუსიკის კურიკულუმებში დაემატოს ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეომასალა), ხოლო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაემატოს სულ მცირე თითო კომპლექსური დავალება. |
| ინდიკატორი<br>N2.2.2.1 | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | **რჩევა:** უცხო ენების კათედრამ მეტი აქცენტი გააკეთოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებაზე (სამივე საფეხური). |
| ინდიკატორი<br>N2.3.2.4 | შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით | **რჩევა:** შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში (სამივე საფეხური). |
| | | |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)**

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის ფილოსოფია: მისის, ხედვა და ღირებულებები, რომელიც დეკლარილებულია სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სკოლის მისია, ხედვა დაღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, იძლევა იდენტობის განსაზღვრის საშუალებას და არის მამოტივირებელი. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

სკოლის ხედვა მიმართულია იქითკენ, რომ იგი იყოს მუდმივ წინსვლასა და განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა. სწავლა სწავლების პროცესი ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას და იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალურ
საჭიროებათა და ინტერესებზე მორგებული. სკოლა მხარს დაუჭერს სასკოლო საზოგადოების განათლებასა და განვითარებას.

**სკოლის მისია**

სკოლის მისიაა მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მოქალაქეებად. იყვნენ ეროვნული თვითმყოფადობის დამცველნი და შეძლონ კულტურული უწყვეტობით, მასზე დაყრდნობით გლობალურ სამყაროში თვითრეალიზაცია.

**სკოლის ხედვა**

სკოლის გუნდს გააზრებული აქვს, რომ ქ. სიღნაღის საჯარო სკოლა მომავალში იქნება სასკოლო ცხოვრებითა და კულტურით გამორჩეული სკოლა მუნიციპალიტეტში. სკოლა ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ მოსწავლეებს შესთავაზოს მაღალკვალიფიციური და მრავალფეროვანი სწავლა-სწავლების ფორმები,რომელთა საშუალებითაც თანამედროვე მოზარდი შეძლებს დაეუფლოს 21-ე საუკუნეში საჭირო უნარებსა და საგნობრივ კომპეტენციებს.იმავდროულად,საინტერესო სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში მოსწავლე შეძლებს, დაიკმაყოფილოს და განივითაროს პიროვნული მისწრაფებები, როგორებიცაა: სპორტი, ხელოვნება, გამომგონებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიები,სამოქალაქო აქტივობა,ლიდერობა და ჯგუფებთან კომუნიკაცია.

ღირებულებები:

**კეთილგანწყობილი გარემო**, სადაც ხელშეწყობილი იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინიციატივა, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ექნება საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, ურთიერთპატივისცემა და მაღალი პასუხისმგებლობა;

**ცოდნასა და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო**, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებასა და გაუმჯობესებას, პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარების გამომუშავებას;

**ინკლუზიური და ტოლერანტული გარემო**, სადაც დაფასებულია ადამიანის ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და განსხვავებულობა, დაგმობილია პიროვნებისადმი უპატივცემულო და ღირსების შემლახველი მოპყრობა, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, ბულინგი;

**ჯანსაღი გარემო**, რომელიც უზრუნველყოფს დაბალანსებულ პროგრამას (აკადემიური და კლასგარეშე აქტივობები, სპორტი, დასვენება და კვება), რომლის ფარგლებშიც მოსწავლე მიიღებს სიღრმისეულ განათლებას სტრესისგან თავისუფალ გარემოში და შეინარჩუნებს ბავშვობისათვის დამახასიათებელ სილაღეს და თავისუფლებას.

**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია იმაზე, რომ სკოლა აღიქმებოდეს, როგორც საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე.

სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლას მისიის და ხედვის საფუძველზე განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები. ესაა სკოლაში ჯანსაღი, თანამშრომლობითი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა, სასწავლო პროცესის ორიენტირება მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, მშობლის როლი სასკოლო ცხოვრებაში, ინკლუზიური განათლება. ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით,

საგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. სკოლის შენობაში ვიზიტორის შესვლა კონტროლდება მორიგე მასწავლებლის მიერ, ვიზიტორის შემოსვლა სკოლაში აღირიცხება შესაბამის ჟურნალში. დასვენებებზე ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებლები. სამასწავლებლოში გამოკრულია სართულებზე და შემოსასვლელში მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლას ჰყავს დარაჯი. 2019 წლის 27 თებერვლის 2-13 ბრძანებით სკოლასი შეიქმნა მღცეველთა საბჭო და 2022 წლის 23 ოქტომბრის 2-96 ბრძანების საფუძველზე მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილებები.

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სკოლა ხელს უწყობს აქტიურად არაფორმალური განათლების დანერგვასა და განვითარებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: მშობელთა კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი და სპორტული კლუბი. სკოლა ანხორციელებს სხვადასხვა პროეტქებს სოციო -კულტურული გარემოს შესაქმნელად.
მშობელთა კლუბი დაფუძნდა სიღნაღის საჯარო სკოლაში 2021 წელს და მუშაობს დღემდე. კლუბის სლოგანია :,,ჩვენი მხარდაჭერით ვაძლიერებთ სასკოლო გარემოს".
სკოლის დირექტორის განმარტებით კლუბის მუშაობის პროცესში მშობლები მეტად დაუახლოვდნენ სკოლას, ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში, უკეთ შეძლეს პრობლემის ამოცნობა და გაანალიზება.
დირექტორმა აღნიშნა, რომ მშობელთა კლუბის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ბოლო ორ წელს განხორციელებულ სასკოლო სასწავლო პროექტებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები: სკოლაში შეგროვდა მაკულატურა. შეგროვების ნაბიჯების დაგეგმვა,ფუნქციების გადანაწილება და ფუნქციების განაწილება კლუბის წევრებმა განახორციელეს; მოლაპარაკება აწარმოეს მაკულატურის ჩამბარებელ ორგანიზაციასთან დაჩაბარებული მაკულატურის საფუძველზე შეიძინეს ახალი წიგნები სკოლის ბიბლიოთეკისთვის გამომცემლობა პალიტრა ლ-ისგან; კომპოსტირების პროცესის გამოცდილების მისაღებად და კომპოსტის დასამზადებლად მოსწავლეებთან ერთად ითანამშრომლეს თემ,,ქედელთან". განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობა ყოველწლიურ ღონისძიებაში, როგორიცაა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. გასულ სასწავლო წელს მშობელთა კლუბის წევრები კლასის დამრიგებლებთან ერთად ჩაერთნენ ქ. სიღნაღის კულტურულ-ისტორიული წარსულის შესწავლაში. მოსწავლეებს ეხმარებოდნენ მასალის მოძიებაში, საინტერესო ადამიანებთან დაკავშირებაში.
მშობელთა კლუბი აქტიურად თანამშრომლობს სკოლის სამოქალაქო კლუბთან. გასულ სასწავლო წელს მშობლებმა მონაწილეობა მიიღეს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში ,,სკოლის ეზო, ჩვენი ეზო". მშობლებმა მოსწავლეებთან ერთად დაასუფთავეს ეზო და შეძენილი ნერგებით გაალამაზაეს სკოლის ეზო.
სამოქალაქო კლუბის მიერ განხორციელდა პროექტები და ღონისძიებები : ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით, ტრეფიკინგზე და ბულინგზე საახალწლო ღონისძიება, მავნე ჩვევები- ჯანსაღი ცხოვრების წესი, დედის დღე, დედამიწის დღე, მეგობრები ქრომოსომებს არ

ითვლიან, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, სკოლაში სამოქალაქო კლუბის მიერ განხორციელდა შემდეგი პროექტები

1. ,,ცხოვრების ჯანსაღი წესი“
2. ,,სკოლის ეზო-ჩვენი ეზო“

USAID-ის პროგრამით ორივე პროექტმა მიიღო დაფინანსება, რის შედეგადაც სკოლამ შეიძინა სპორტული ინვენტარი: ფრენბურთის ბადე, ფრენბურთის ბურთი, კალათბურთის ბურთი და ფეხბურთის ბურთი ; ასევე ნერგები, რომლებიც დაირგო სკოლის ეზოში.

სპორტული კლუბის ფარგლებში განხორციელდა შეჯიბრები: ფეხბურთში კლასებს შორის, კალათბურთში კლასებს შორის, ფრენბურთში კლასებს შორის, ჭადრაკში სკოლის ჩემპიონის გამოსავლენად, მკლავჭიდი სკოლის ჩემპიონის გამოსავლენად, რბენა მოკლე მანძილზე კლასებს შორის.
სიღნაღის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო ინტელექტუალური თამაში ,,ყველაფერი ქართულ ლიტერატურაზე", რომელშიც მონაწილეობდნენ სიღნაღის საჯარო სკოლის მოსწავლეები. სკოლის გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ინგლისური ენის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ 2022-2023 წლებში განახორციელეს ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. არაფორმალური განათლებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს, გამხდარიყვნენ დაკვირვებული, შემოქმედი, კრიტიკულად მოაზროვნე და წიგნიერი მოქალაქე.

სასწავლო წლებში ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე ინგლისურ ენაში მონაწილეობდა მე-10 და მე-11 კლასის ექვსი მოსწავლე და მიიღეს მაღალი ქულები პირველ ტურზე. უმაღლესი ქულა მიიღო ერთმა მოსწავლემ პირველ და მეორე ტურებზე და გადავიდა მესამე ტურში. 2021-ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იყო.

წლებში დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კერძო ოლიმპიადაში KINGS. მეოთხე კლასის მოსწავლემ მიიღო ოქროს მედლები და ოქროს დიპლომები ორივე სეზონზე. ასევე მოიპოვა საგზური ბაკურიანში კინგსის რჩეულთა საზაფხულო ბანაკში. ოლიმპიადაში დანარჩენმა მონაწილეებმა სხვადასხვა ხარისხის დიპლომები და სერტიფიკატები მოიპოვეს.

- ✓ მეოთხე კლასში განხორციელდა პროექტი „ Save The Earth”, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, თანატოლების ჩართვა გარემოს დაცვისთვის საჭირო პრევენციულ სამუშაოებში, შემოქმედებითი, კვლევა-ძიების,

თანამშრომლობითი, გუნდური მუშაობის, ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარება. მოსწავლეებმა შექმნეს საინფორმაციო პლაკატი სახელწოდებით :"Save The Earth".

- სკოლის მოსწავლეები ვიზიტით იმყოფებოდნენ სიღნაღის ეროვნულ მუზეუმში ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენაზე. ამავდროულად, მოსწავლეებმა გიდის საშუალებით მუზეუმში გამოფენილი ექსპონატების ისტორიაც მოისმინეს საქართველოს წარსულიდან.
- სკოლის მოსწავლეები ლაშქრობით იმყოფებოდნენ სიღნაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, კლასელთა უკეთ შეცნობის მიზნით არაფორმალურ გარემოში.
- სკოლაში ჩატარდა საახალწლო ზეიმი, რომლის ძირითადი თემა იყო საქართველოს კუთხეების საახალწლო ტრადიციები.
- სკოლაში განხორციელდა დედის დღისადმი მიძვღვნილი ღონისძიება : „შენი თვალებით ვხედავ სამყაროს". მოსწავლეებმა ისწავლეს და წარმოადგინეს დედისადმი მიძღვნილი ლექსები, ინდივიდუალურად დაწერეს დედისადმი მიძღვნილი ბარათები, ლამაზად გააფორმეს და დედებს გადასცეს საჩუქრად.
- დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მათ მხატვრულად წაიკითხეს დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები და ისაუბრეს მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის შესახებ. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მოაწყვეს კონფერენცია.
- სასწავლო წლის ბოლოს მოეწყო შემეცნებით ექსკურსიაზე თბილისში. ციფრულ სივრცეში ნახეს სპეციალური საბავშვო პროგრამა „წყალქვეშა სამყარო", დაათვალიერეს ვან გოგის ოთახის ასლი, ნახეს ქართული ფილმი „ბაზალეთის ტბა"; დაათვალიერეს თბილისის ზოოპარკი და მოინახულეს სამების ტაძარი და ქაშუეთის ეკლესია, ასევე ნახეს დედაენის ძეგლი.
- სასუალო საფეხური მოსწავლეებთან ერთად დაიგეგმა და მოეწყო ექსკურია( მაისში) კოჯორში. მოსწავლეებმა მოინახულეს უძოს მონასტერი , მოსწავლეებმა მოიძიეს ამ მონასტრის დაარსების დრო და, ზოგადად, მონასტრის ისტორია.
- დაწყებითი საფეხურის კლასებში მოეწყო გამოფენა-კონკურსი, სადაც ბავშვებმა წარმოადგინეს თავიანთი ხელით დამზადებული მუსიკალური საკრავები;
- სკოლამ მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტში - ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი". მოსწავლეთა ჯგუფმა შექმნა ელექტრონული გაზეთი, რომელშიც განათავსა ესეები აფხაზეთის თემაზე.

ადგილზე ვიზიტის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სკოლას აქვს მზაობა დაინახოს, გაიაზროს და განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეს შესაქმნელად.

**ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სასკოლო საზოგადოებამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების მუშაობა და ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზეა აგებულია. შესაბამისად, სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარდა გამოკითხვები და მათი ინტერესების/ წინადადებების გათვალისწინებით განხორციელდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნა.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათედრებზე განიხილეს და გაიაზრეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და მისი გათვალისწინებით შეიმუშავეს თავიანთი ხედვა და წინადადებები სკოლის მისიასა და ხედვასთან დაკავშირებით.

2023-2024 სასწავლო წლისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სასკოლო საზოგადოებასთან სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებების შექმნაზე და საბოლოო სახით ფორმირებაზე. ამ ჯგუფთან მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები. კერძოდ, მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი განხილულიქნა მშობელთა კრებაზე და მიღებული უკუკავშირები ასევე გათვალისწინებული იქნა სასკოლო ფილოსოფიის შექმნისას.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და უკუკავშირებით დადგინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რა შესაძლებლობები აქვს სკოლას ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად.

**ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის სამეურვეო საბჭოსა მიერ დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (სამეურვეო საბჭოს ოქმი N1) და სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის (ბრძანება 2-59; 22/09/2023 წელი) დოკუმენტით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფისა და სკოლის დირექტორის ვალდებულება, მისიისა და ხედვის სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების.
სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის შეთანხმებული აქვს სამეურვეო საბჭოსთან და სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლას მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე გამოკრული და გაგზავნილია სოციალური გვერდზე შექმნილი პედაგოგიური და მშობელთა სასკოლო ჯგუფებისათვის. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნეს, რომ სკოლი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე და მათი ჩართულობა უზრუნველყოფს დოკუმენტის შინაარსის გაზიარებასაც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების ჯგუფი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების შემუშავების ჯგუფი დაკომპლექტებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებით. ამდენად ყველა რგოლში მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლებმა მშობლებს გააცნეს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

**ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის, რომელიც დასტურდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტით. ასევე მოქმედი მისია ხედვა და ღირებულებები სკოლის მიერ საჯაროდაა განთავსებული სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებზე ( თიმსი, სოციალური ქსელი) და განხილულია მშობელთ შეხვედრებზე.

**ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N56.14.41.008) და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება, რითაც დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორი 1.1.1.6 სრულად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

2. მშობელთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა კითხვარი;
3. მშობელთა კრების ოქმი N1 23.03.2023წ.;
4. პედსაბჭოს ოქმი N1;
5. სამეურვეო საბჭოს ოქმი N1;
6. ბრძანებები;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
8. ინტერვიუ  სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან;
9. კლუბების დებულებეი;
10. პროექტები.

**შეფასება:**

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრისათვის, შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის მეთოდები, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნისას. მეთოდოლოგია მოიცავს საჯარო სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

   მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოება ჩართულობა, გათვალისწინებული ცვლილების შესაძლებლობა, გადახედვა, მოდიფიკაცია, წარდგენა სამეურვე საბჭოზე, უკუკავშირების გათვალისწინება, მონიტორინგი, შესრულების ვადები, ინდიკატორების განსაზღვრა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოდის შესაბამის ინდიკატორთან.

   **ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**
   სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
   სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულებება მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, დაგეგმვის პერიოდს.
წარმოდგენილია S W O T ანალიზი, რომელშიც გაანალიზებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.
სტრატეგიულ გეგმის პროექტში არ არის გაანალიზებულია მოსალოდნელი შედეგი და რისკები, მოცემულია სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალი და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები.

**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დოკუმენტის დამტკიცებისას გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალისა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირების განსაზღვრა.

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებაში. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლის 2023-2030 წლის სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუსავება, განხილვა და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება განხორციელდა 2023 წლის 04 სექტემბერიდა 2023 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით სამუშაო ჯგუფის, სასკოლო საზოგადოებისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით. სკოლამ არგუმენტირებულ პასუხთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა 2023-2030 წლის სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის ოქმი N5 (დანართი N2).

**ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი

აქტივობები არ არის განსაზღვრული სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის სტრატეგიული მიმართულებებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

სკოლის დირექციის, მასწავლებელთა ინტერვიუებითა და წარმოდგენილი გამოკითხვის დოკუმენტებით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა სკოლამ შეიმუშავა გასული სასწავლო წლის შეჯამებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ჩატარებული გამოკითხვები.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა როცა დაამტკიცებს შვიდწლიან სტარტეგიულ გეგმას, გადაიხედება აუცილებლად სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა და შესაბამისობაში იქნება მოყვანილი შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან.

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 1.2.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებაში. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუსავება, განხილვა და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება განხორციელდა 2023 წლის 14 ნოემბრიდან 2023 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით სამუშაო ჯგუფის, სასკოლო საზოგადოებისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით. სკოლამ არგუმენტირებულ პასუხთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა 2023-2030 წლის სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის ოქმი N5 (დანართი N2).

**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას სკოლას დამტკიცებული აქვს სამოქმედო გეგმა სამეურვეო საბწოს მიერ. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს სვიდწლიანი სტრატეგილუ გეგმის პროექტი, თუმცა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი ამოცანები, დაგეგმილ აქტივობები, მათი განხორციელების ვადები არ არის შესაბამისი სტარტეგიული გეგმის პროექტში წარმოდგენილი თითოეული სტრატეგიული მიმართულებით განსაზღვრული აქტივობების.
წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია აქტივობები, ვადები პასუხისმგებელი პირები, გაზომვადი ინდიკატიორები. არ არის

განსაზღვრული სამოქმედო გეგმით მისაღწევი მიზნებისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი.

სამოქმედო გეგმა ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი მოხდება სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმით მისაღწევი მიზნებისათვის განსაზღვროს საჭირო რესურსების ჩამონათვალი.**

**ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- ერწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გამოკითხვის დოკუმენტები;
- სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.
სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სამეირვეო საბჭოს მიერ. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზა. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.
დოკუმენტის მიხედვით სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მოიცავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება კი განსაზღვრავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად გამოკვეთილი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა. ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს მისცემს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.
მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრება სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას.
მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ

ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-11 მუხლის შესაბამისად. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სამოქმედო გეგმის ანგარიშიდა იწერება ნარატიული ფორმით. სკოლა უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ.

**ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, უნდა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. დოკუმენტის მიხედვით სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში განხორციელდება. წლის ბოლოს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების წინარე პერიოდში უნდა განხორციელდეს და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას დააოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას.

დოკუმენტის თანახმად მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ სკოლა იწყებს  შეფასების პროცესს. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები გაფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმის ანგარიში დაიწერება ნარატიული ფორმით. სკოლა უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ.

სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამიკვეთა, რომ ისინი თანამონაწილენი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის. შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების შემუშავების წინ სკოლის დირექტორის მიერ გამოყოფილია  სამუშაო ჯგუფი, რითაც უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სკოლა, სადამრიგებლო პროგრამების რეალიზების მიზნით, აკეთებს  სადამრიგებლო პროგრამების ანალიზს.  კლასის დამრიგებლების მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქინა სადამრიგებლო პროგრამები, სადაც   მოცემულია კლასის სამოქმედო გეგმა  კლასის ინტერესების მიხედვით დაგეგმილი.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია დოკუმენტი -,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება, პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით  შეფასებას განახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური.   სკოლასი ასევე დირექტორის ბრძანებიტ შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭრის ჯგუფი. მის  მიერ, ყველა ძირითადი პროცესი დაექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეფასდება არანაკლებ ერთი წლისა. დანარჩენი პროცესები  შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც  ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის  ჯგუფი  დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი წლის აგვისტო/სექტემბერში განახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/კურიკულუმების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც შეადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების  წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც დამტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიხედვით მონიტორინგის პროცესი იქნება ციკლური ხასიათის. პერიოდულად მოხდება დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და განხილვა. საბოლოო შედეგები ცნობილი იქნება სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებისათვის.

**ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გემის დამტკიცების შემდეგ, სტრატეგიული განვითარების გემისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯარო იქნება შექმნისთანავე. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გაიწერება სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში;

სხდომის შემდეგ ანგარიში განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე. შედეგების პრეზენტაცია გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარდა ამისა სკოლა იზრუნებს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. ამისათვის გამოიყენება, როგორც მშობელთა ჩართულობა პროექტების განხორციელებაში, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით მოხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება.

სკოლას დირექტორმა გასაუბრების დროს განმარტა, რომ ვებ. გვერდის შექმნის შემდეგ, სკოლის ვებ. გვერდზე საჯაროობისა და მეტი გამჭვირვალობისთვის ატვირთული იქნება გასული წლის ანგარიშები, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე. შესაბამისად, აღნიშნული საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის.

**ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში წარმოდგენილი მეთოდოლოგიის და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა

სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდაც იგეგმება ანალოგიური პრაქტიკა. ეს დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგადაც.

**ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. გასული წლების გეგმებისა და ანგარიშების ნიმუშები.
3. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი;
4. სამოქმედო გეგმა.

**შეფასება:**

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში  მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ოქტომბრის  2-92 ბრძანებით დამტკიცებულ ,, პერსონალის/სკოლის სტრუქტურული  ერთეულების  სამუშაო  აღწერილობის“ დოკუმენტში. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებია წარმოდგენილი სკოლის მიერ დასაქმებულსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებებში.  სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა  სკოლის სტრუქტურა გრაფიკულად, რომელიც მოიცავს: დირექციას,  ადმინისტრაციას,  ტექნიკურ  პერსონალს,  მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგიურ საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საქმისმწარმოებელს, ბიბლიოთეკარს, სკოლის ექიმს, საგნობრივ კათედრებს (6 კათედრა) , ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდაჭერის ჯგუფს.

2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 32 თანამშრომელი.  აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 24 პედაგოგი-3 წამყვანი და 19 უფროსი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი,  1 ბიბლიოთეკარი, 1 სპეციალური მასწავლებელი,  1 ექიმი, 2 დარაჯი,  2 დამლაგებელი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 1 ფსიქოლოგი.

სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი,  საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების  დებულებები სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქციები.
აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები  შერჩეულია და მათი ფუქცია/ მოვალეობების  შესრულება ხორციელდება  ,,ზოგადი განათლების შესახებ“  საქართველოს კანონის შესაბამისად.  სკოლას არა აქვს ცალკე დოკუმენტის სახით გაწერილი სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.
სკოლამ ასევე სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის დადასტურებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, თვითმმართველობისა და დისციპლინარული კომიტეტების  ოქმები.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი  პირადი საქმეების,  eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების  გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას პერსონალი შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ ‘‘ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია დიპლომის ასლები ნოტარიულად დამოწმებული, კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია.
მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სკოლაში დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები.

**ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით-თნამშრომელთა ხელშეკრულებებით, სადაც სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს და ხელი შეეწყოს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და ინოვაციების დანერგვას. ასევე ინტერვიურების დროსაც გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული საბოლოო ჯამში სკოლის მისიას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაშია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად. სკოლაში არაფორმალური განათლების წარმატებული პრაქტიკა უფრო აკავშირებს სკოლის თანამშრომლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია სკოლის შიგნით ხარისხის განვითარების მექანიზმი. ინტერვიურებისა და პრაქტიკულად ნანახი პროცესების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობის დონე სკოლაში საკმაოდ მაღალია. მათ შორის საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებასაც აქვს მხარდამჭერი ფუნქცია.

**ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თნამშრომელთა ხელშეკრულებები;
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
3. მრჩეველთა საბწოს ოქმი;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
5. დებულებები;
6. პირადი საქმეები.
7. ბრძანება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრაზე.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი დოკუმენტი ,, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", ,, პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის" დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სადაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პერსონალის მართვის პროცესები.

პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის „შრომის კოდექსისა" და სკოლაში შექმნილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტის შესაბამისად (დირექტორის ბრძანება 2-80; 12.10.20232 წელი).

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან" შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული პირის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.
სკოლის შენაგანაწესი და სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისია და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია დოკუმენტი ,, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", შინაგანაწესი, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება 2-80; 12.10.20232 წელი).

დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიების დროს აღინიშნა, რომ  ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე.  ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.
სკოლას მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები: ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, დაწესებულების ადამიანური რესურსი, კადრების მოზიდვა და შერჩევა კონკურსების გამოცხადებით, პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, . შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა მოტივაცია და სხვა.

სკოლა ვაკანტურ პოზიციაზე (ვაკანსიის) შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი (როგორც შიდა, ასევე ღია, საჭიროებიდან გამომდინარე) და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. კონკურსი ცხადდება ელექტრონულ პლატფორმაზე (www.teacherjobs.ge) განთავსებით და მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 174/ნ ბრძანების შესაბამისად. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკუროს მასალებითა და ვაკანსიების გვერდის დათვალიერებით (www. teachers. gov.ge).

**ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი, სკოლის წარმომადგენელი. შეჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის ბრძანებებით, ოქმებითა და დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დადასტურდა, რომ სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის დაცვით. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ შიდა კადრებით არ მოხდა ვაკანტური ადგილის შევსება სკოლა ღია კონკურსის შესახებ განაცხადს აქვეყნებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულიუ პირისთვის. აღნიშნულ საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კომისიის შექმნის ბრძანება, კომისიიის ოქმი, თანამშრომლად დანიშვნის ბრძანება და ხელშეკრულებები.

კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, დირექტორის მიერ საპრეტენზიო კომისიის შექმნის პრაქტიკა სკოლაში არ ყოფილა.

სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

1. ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადება;
ბ) CV;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;
ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
რაც შეეხება ცნობებს: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, ნარკოლოგიურისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ, ჰქონდა რამდენიმე მასწავლებელს.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძნებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიპიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც პირადი საქმის გარდა ასახულია eschool-ის ბაზაში. ტექნიკური პერსონალი წარმოადგენს გამოცდილ და კვალიფიციურ კადრს.

პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული პირების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ცნობების წარმოდგენა გონივრულ ვადაში.

**ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 32 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 24 პედაგოგი- 3 წამყვანი და 19 უფროსი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 1 ფსიქოლოგი.
სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება და მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების შესაბამისად.
სკოლის ექიმის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნილ პირობებს.

ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

**ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. დელეგირებული მართვის პრინციპები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სადაც მკაფიოდ არის გასაზღვრული დასაქმებული პირების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. ინტერვიურებით ირკვევა, რომ ორგანიზაციული კულტურა სკოლის მართვის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სკოლაში შექმნილია ჯანსაღი თანაშრომლობით კულტურაზე დაფუძნებული გარემო. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის თანამშრომელთა ერთობლივად განხორციელებული პროექტები.

სკოლის განმარტებით გუნდური პასუხისმგებლობის შედეგია მოსწავლეთა მონაწილეობა ეროვნულ კონფერენციებსა და ეროვნულ ოლიმპიადებში.

კათედრები ერთობლივად ანხორციელებენ სხვასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს. იმუშავეს სკოლის თანამშრომელთა განმარტებით: თანამშრომლობითმა კულტურამ ხელი შეუწყო სასკოლო საზოგადოების მეტად გუნდურობას. მოსწავლეებზე უფლებათა დელეგირებამ განავითარა დამოუკიდელად გადაწყვეტილების უნარი, აამაღლა პასუხისმგებლობის გრძნობა, დააახლოვა სკოლის საზოგადოება ერთმანეთს.

სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც.
სკოლის პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე და ა.შ.

სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები დებულებით ნაკისრ ვალდებულებებს (პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება), რომელთა შორის მნიშვნელოვანია სკოლაში სწავლების ხარისხზე ზრუნვა, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტური ჩამოყალიბება, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვაა. ასევე თავად პედაგოგები საგნობრივი მიმართულებებიდან გამომდინარე ახორცილებენ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის თვითრეფლექსიას, კურიკულუმების რევიზიას და მონიტორინგს. მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების მონიტორინგის უფრო აქტიური და ყოვლისმომცველი პროცესი დაიწყება.
სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებული ხარვეზებს და

ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა , ასევე თვითშეფასება ეხმარება მათ გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

**ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში დასაქმებული სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე, სამუშაო შეხვედრებზე, სასკოლო თუ საერთაშორისო კონფერენციებზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. ამ პროექტის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის კითხვის და მათემატიკის მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს. სასკოლო კლუბებს შორის პარტნიორობის პრინციპით იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო პროექტები. საუკეთსო პრაქტიკის გაზიარება ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთ დასწრების ფორმითაც, რომლის შემდეგ მასწავლებელები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, რომლის შემდეგაც ხორციელდება ფოკუსირებული დასწრება მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე.

სკოლის ადმინისტარციის მიერ მასწავლებელტა მოტივაციის ამაღლება და წახალისება ხორციელდება მადლობის გამოცხადებით და პრემიების გაცემით. მასწავლებლებმა აღნიშნულის დადასტურებად წარმოადგინეს სიგელები, ფოტომასალა და დირექტორმა ბრძანებები პრემიებზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვხვდებით აღიარებისა და წახალისების დამადასტურებელ დოკუმენტებს. კერძოდ, კათედრის სხდომის ოქმებს და ბრძანებებს ჯილდოს/პრემიების გაცემის თაობაზე.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

1. შინაგანაწესი;
2. საერთო ბრძანებების ჟურნალი;
3. საკადრო ბრძანებების ჟურნალი;
4. კონკურსის წესი;
5. საკონკურსო კომისიის ოქმი;
6. პერსონალის პირადი საქმე;
7. შრომითი ხელშეკრულებები;
8. ინტერვიუები.

**შეფასება:**

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

#### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული მექნიზმების დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა საქმინაობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება.

პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ასევე ასახულია სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ხარისხის მართვის ჯგუფის სამუშაო დებულებაში, კათედრების სამუშაო გეგმასა და კათედრების ანგარიშებში, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში.

საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში გეგმავენ და ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აქტივობებს. ავსებენ თვითშეფასების კითხვარს და ადგენენ საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების გეგმებს. ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ესწრება გაკვეთილებს, ისმენს მასწავლებლის რეფლექსიას და უკუკავშირის საფუძველზე ახდენს მასწავლებლის საჭიროების დადგენას. კათედრები განიხილავენ სიახლეებსა თუ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე, ხელს უწყობს სასკოლო და საერთაშორისო პროექტების დანერგვა განხორციელებას. სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დებულება განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის მუშაობის წესს, პროცესებსა და პროცედურებს.

სკოლას ასევე გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულის სკოლის დირექტორის

ბრძანებით. ამ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვიტ სკოლა ხელი შეუწყობს მოსწავლეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შემუშავებას, პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას, ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნასა და მუდმივი გაუმჯობესებას, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზებასა და გარე შეფასებას.

**ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**
სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში გამოვლინდა სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობის თავსებადობა ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაწერილ პროცესებთან. პერსონალის განვითარება ციკლური პროცესის ნაწილია და მხოლოდ გამოვლენილი საჭიროებების კვალდაკვალ მიმდინარეობს ინტერვენციების გეგმის შემუშავება. ინტერვენციების გეგმა მუშავდება სასკოლო საზოგადოების ყველა ტიპისთვის: მასწავლებელი, სპეც. მასწავლებელი, ტექ. პერსონალი და სხვა. პროცესი შემდეგნაირად იმართება. თანამდებობრივი ინსტრუქციითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება პერიოდულად მონიტორინგდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით, იწერება სამსახურებრივი ბარათები და დგება ანგარიშები. ინდივიდუალური უკუკავშირების შედეგად ხდება ინტერვენციების გეგმის შემუშავება, ან ცვლილებების შეტანა. ანგარიშს ადგენენ შესაბამისი პასუხიმგებელი პირები. კათედრის ხელმძღვანელები, ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფი, დირეტორის მოადგილე და სხვა. საჭიროებების შესაბამისად სკოლის ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების აქტივობებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მასწავლებლებთან მიმართებით ეს პროცესები რეგულირდება "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბრძანებით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი და შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის დებულება, რომელიშიც აღწერილია ხარისიხს მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ.
სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება, ეფუძნება საჭიროებების კვლევას, რისთვისაც ხარისხის ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესს და ზოგადად მასწავლებლის საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს და გეგმავენ ინტერვენციებს, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებენ და კვლავ აფასებენ.

მასწავლებლები სტატუსების შესაბამისად გადიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნუი ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. თითქმის ყველა მასწავლებელს აქვს 6, 12 და 20 სთ-იანი ტრენინგი გავლილი.

კათედრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარის გამოვლენა, რაც გამოიხატება ურთიერთსწავლების შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით.

**ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში მასწავლებლის კარიერული ზრდა არის ნებაყოფლობითი პროცესი. სკოლაში არიან უფროსი და წამყვანი მასწავლებლებლი. ეს არის დასტური იმისა, რომ სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. საუკეთესო გამოცდილებას სკოლის თანამშრომლები უზიარებენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ მიღებული ცონის დანერვაში. მესამე თაობის ესგ-ს დანერგვა სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას, რაც დასსტურდება ტრენინგების, სასკოლო პროექტების, კონფერენციებში ჩართულობითა და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით. სკოლამ ასევე განახორციელა მასწავლებელთა წარდგენა სტატუსის ამაღლების მიზნით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა კონფერენციებსა და პროექტებში, კერძოდ, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით ჩართულები არიან USAID საბაზისო განათლების პრორამაში, GOLABZ პროგრამაში, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგებში:

- ,, როგორ განვავითაროთ მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები“;
- ,,ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში“;
- ,,გლობალური პრობლემები და STEM სწავლებვის როლი მათ დაძლევაში“;

მასწავლებლები ჩართულები იყვნენ ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებული ტრენინგებში:

- Teaching for success continuing professional development 2; Dr. Adam Edmett;
- Teaching for success continuing professional development 1; Dr. Adam Edmett;
- Understanding motivation in the classroom;

- Future English Online Teacher Community; Dr. Adam Edmett
- Engaging with professional development: keeping up-to-date;
- Future English Online Teacher Community; Dr. Adam Edmett

მასწავლებლები ჩართულები იყვნენ პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგებში: ქართული ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხები ( ,,ვეფხისტყაოსნის" საკვანძო და აქტუალური საკითხების სწავლების თავისებურებები ), სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება ქართულის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე, დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები, საბაზო_საშუალო საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები უფროსი მასწავლებლებისთვის. ჟანგვა-აღდგენა არაორგანულ ქიმიაში, Chemsketch კომპიუტერული პროგრამის გამოყენება ქიმიაში, ონლაინ პლატფორმის გამოყენება კვლევითი სამუშაოს ჩასატარებლად ქიმიაში, სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტორერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

გეოგრაფიის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ არის გლობალური განათლების საერთაშორისო ასოციაციის "KEY CONSULTING" წევრი 2020 წლიდან და მიღებული აქვს ამ ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგების, სემინარების, განათლების ფორუმების თუ კონფერენციების სერტიფიკატები, მადლობის ფურცელი. მან აღნიშნა, რომ გავლილი აქვს ფორმალური დებატების შემსწავლელი ტრენინგი, პროექტის „ დებატები უკეთესი განათლებისთვის" ფარგლებში. ასევე გავლილი აქვს FUTURE LABORATORY MANAGEMENT-ის ტრენინგი, მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებული სავალდებულო ტრენინგები სხვადასხვა თემატიკით, ასევე eTwinig-ის ფარგლებით გამოცხადებული ტრენინგები. MODERN RHETORIC ACADEMY-ს ორ და ოთხთვიანი კურსი. საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნული აკადემიის ტრენინგი, გარემოს დაცვის ტრენინგი,

„გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

აღნიშნულის დადასტურებად ასევე გარდა ინტერვიუსა  კათედრებმა წარმოადგინეს მათი ანგარიშები, პორთფოლიები და  ფოტო მასალა. ასევე მათ მიერ ანგარიშებში იკვეთება კათედრებს შორის აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელტა კარიერული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნისნეს, რომ თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და ითვალისწინებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას.  სკოლამ წარმოადგინა მასწავლებეთა რეფლექსიები.

**ინდიკატორი 3.2.1.3  დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, სამუშაო გარემოს კეთილმოწყობა,  უსაფრთხოება და საგანმანათლებლო/საკანცელარიო/სანიტარულ-ჰიგიენური  რესურსებით აღჭურვა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი  სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. მათთვის  გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზები, გარე სპორტული მოედანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლა სტემის ლაბორატორიისათვის აქვს ორი მცირე ზომის (10-8 კვ.მ) ოთახი გამოყოფილი, სადაც ინახება ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის რესურსები, რომლებიც ცაჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს გააქვთ კლასებში. სკოლას არ აქვს სტემის ლაბორატორიისათვის ოთახი. სკოლაში ძირითდად არის საკლასო ოთახები, სველი წერტილები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და რესუსრს ოთახი. სკოლას დამატებით სხვა ოთახი არ გააჩნია.

სპორტული დარბაზის მიმდებარედ განთავსებული ერთი ოთახი, რომელიც წარმოადგენს შენობის ნულ სართულს და ნახევრად მიწით არის ამოვსებული. ამ ეტაპისტის აღნიშნული ოთახი რკინის კარით არის დალუქული, თუმცა საჭიროებს რეაბილიტაციას.

სკოლის ეზოში შექმნილია შესაბამისი სივრცე. სკოლა ამ ეტაპისათვის უზრუნველყოფილია საგანამანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

კათედრების ხელმძღვანელებთან, სკოლის ადმინისტრაციასთა გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კათედრის ოქმები, სამსახურებრივი ბარათები, ურთიერთ დასწრების უკუკავშირები, განხორციელებული პროექტები, შესყიდვები, მასწავლებელთა პორთფოლიები და სხვა) საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კულტურა დამკვიდრებული.

**რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს სპორტული დარბაზის მიმდებარედ განთავსებული ერთი ოთახის, რომელიც წარმოადგენს შენობის ნულ სართულს და ნახევრად მიწით არის ამოვსებული, რეაბილიტაცია.**

**ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმიდან დგინდება, რომ სკოლა უწყვეტად ზრუნავს სკოლის პერსონალის განვითარებაზე. სამოქედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვა აქტივოებისა და მექნიზმების გამოყენებით.

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენიგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საწირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა.

მასწავლებლებმა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და პროექტებზე ჩართულობის დადსტურებად წარმოადგინეს პროექტები, ფოტომასალები, სერთიფიკატები, მასწავლებელთა პორთფოლიები და სიგელები.

დღეის მდგომარეობით პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაიწერება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, წერილობითი სახით გარდა შინაგანაწესისა, არ არსებობს. სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მოქნილი ფორმა, რომელიც დაეხმარება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებაში.

**ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება
2. 2023-2024 სამოქმედო გეგმა
3. კათედრის სამოქმედო გეგმა
4. კათედრის ოქმები და ანგარიშები
5. ფოტომასალები
6. სერთიფიკატები
7. მასწავლებლის პორტფოლიები
8. სიგელები
9. პროექტები

**შეფასება:**

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.
სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ციკლურ პროცესს. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს შიდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ხარისხის კონტროლი. ამ მიზნით კათედრების მიერ დგინდება საგნის სწავლების საჭიროებები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. სკოლას, შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები, რითიც განახორციელებს მომავალ წელს შეფასების მონიტორინგს.

სასწავლო პროცესისი ხარისხის მართვისა და მხარდამჭერი სისტემა გამართულია და მხრდამჭერი ჯგუფი საკუთარ საქმიანობას სისტემატურად განიხილავს სხდომებზე და გეგმავს სამომავლო ქმედებებს.
სკოლაში ხარისხის მართვა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე- განავითარე პრინციპს.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის, სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურ და ხარისხიან მართვას.

**ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული, რაც დასტურდება 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის პროექტში, ასევე ხელშეკრულებებში მოცემული და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვთ განსაზღვრული ვალდებულებებით.

ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბუღალტერმა, აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო

პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

სკოლის წარმომადგენლები საგაკვეთილო პროცესს აღიარებენ ძირითადად პროცესად და ცდილობენ ეს დრო გამოიყენონ ეფექტურად , რათა მოსწავლეებში განავითარონ 21 საუკუნის უნარები და გამჭოლი კომპეტენციები. კათედრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რითიც დასტურდება, რომ ისინი საგაკვეთილო პროცეისს წარმართავენ თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით.

მასწავლებლები ცდილობენ განუვითარონ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები, გაუღვივონ მათ მსჯელობის, გუნდთან ერთად მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს სათანადო ხარისხის სასწავლო კურიკულუმის მიწოდება მოსწავლეებისთვის; შედეგად, ცდილობს მოიპოვის და შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარეების (მოსწავლე-მშობელი, თემი) ნდობა, კეთილგანწყობა, დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები. საჭიროეების იდენტიფიცირება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობით: მოსწავლეთა გამოკითხვით, ანკეტირებით, მშობლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან საუბრით. სკოლის სოციალურ გვერდზე მიღებული უკუკავშირით. ხარისხის განვითარერბის ჯგუფი ახორციელებს სწავლების ხარისხის მონიტორინგს. მათი მოვალეობა გაწერილია ხარისხის უზრუნვეყოფის დოკუმენტში და მოიცავს, დაკვირვებას სწავლა-სწავლების პროცესზე, კომპეტეტურ უკუკავშრის, რომელშიც აღნიშნულია, როგორც პოზიტიური, ისე გასავითარებელი მხარები. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მშობლებთან ინდივიდუალური და საერთო შეხვედრები, მათგან მიღებული უკუკავშირი, სასწავლო პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში. სასკოლო სასწავლო გეგმაში, კურიკულუმებსა და სკოლის შინაგანაწესში.

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესსა და ხელშეკრულებებში.

ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას. შინაგანაწესი  აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. აღნიშული წესი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის სახეებს, გასულ დოკუმენტაციას, შიდა დოკუმენტაციას, ბრძანებების მომზადებას და გაფორმებას, სხვადასხვა დოკუმეტებზე (წერილი, ოქმი, ცნობა) მუშაობის წესებს. კორესპონდენციის განხილვისა და პასუხის მომზადების წესს, დოკუმენტის ასლის გაცემის და დამოწმების წესს. ასევე არეგულირებს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებს, მოსწავლეთა ბრძანებებს, საერთო ბრძანებებს, ბრძნებების გამოცემის და აღრიცხვის წესს, კონვერტების დამუშავების წესს და ა.შ.

სკოლას შემუშავებული აქვს   ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი (სკოლის დირექტორის ბრძანება 2-79),



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

რომლის მიზანიც სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, კერძოდ,
ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზეეფექტური რეაგირება;
დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;
სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის მპოლიტიკა“ (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-80), ამ დოკუმენტის მიხედვით სკოლა უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. ასევე, შექმნება გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.
სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“ (სკოლის დირექტორის ბრძანება 2-89), რომელიც დაეხმარება სკოლას უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“ (დირექტორის ბრძანება 2-93), რომელსაც სკოლა გამოიყენებს სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და გავრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი მოაწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის გავრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა

იქნება შესასრულებლად.

სკოლის დირექტორის  დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ (სკოლის დირექტორის ბრძანება 2-91), რომლის მიზანს წარმოადგენს:

- ორმხრივი,  ხანგრძლივი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების  შექმნა და შენარჩუნება დაინტერესებულ პირებთან, როგორც სკოლის გარეთ, ასევე მის შიგნით;
- სკოლის მიერ საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით, სპეციალური ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- სკოლის სასურველი იმიჯის შემუშავება და გამყარება მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და მიზნების გაზიარებითა და წარმოჩენით;
- სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის  უზრუნველყოფა;
- ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის არხების საინფორმაციო უზრუნველყოფა;  2.6. სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- სკოლის  სიახლეების,  მიღწევების და სხვა საქმიანობის ამსახველი საკითხების  მედიის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეების, მშობლების და სკოლის პერსონალის მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა;
- უკუკავშირის შედეგების ანალიზი და მათი გამოიყენება სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციისა " და ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია" დოკუმენტი (დირექტორის ბრძანებ 2-81), რომლითაც დადგენილია სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, სკოლის ვალდებულებები, სპეციალური მასწავლებელის ფუნქციები, მასწავლებლის ფუნქციები, მომსახურებების მიწოდების რეგულაცია და სხვა.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ,, პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის" დოკუმენტი (სკოლის დირექტორის ბრძანება 2-92), სადაც გაწერილია თითოეული სტურქტურული ერთეულის/პირების ფუნქცია /მოვალეობები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი", რომელიც არეგულირებს მოსწავლის ცარიცხვის წეს საფეხურების მიხედვით, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს, სტატუსის აღდგენის წესს, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს.

**ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს და მათ კანონიერი წარმომადგენლებს სკოლა უფლებას აძლევს გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლაში შემოსული საჩივარი ტარდება რეგისტრაციაში და განსახილველად გადაეცემა დისციპლინარულ კომიტეტს შემდეგი რეაგირებისათვის, აღნიშნული პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

**ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის შინაგანაწესითა და სკოლსი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფ სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვას. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი“, რომელსაც სკოლა გამოიყენებს სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და გავრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი მოაწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის გავრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა იქნება შესასრულებლად.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი“. დოკუმენტებში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვა.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიმზები.

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიმზების შესრულებაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია, მორიგე მასწავლებლები, დამრიგებლები და უფლებამოსილის პირი.

**ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
3. გასაჩივრების ჟურნალი
4. სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.
5. **ბრძანებები.**

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.

პედაგოგებთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლადაც.

სასკოლო მსაზოგადოების  უკუკავშირი სოციალური ქსელითა და თიმსის პლატფორმით მიეწოდება სკოლის წარმომადგენლებს. დირექცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და პასუხს უბრუნებს მშობლებს  სოციალური ქსელით ან თიმსის პლატფორმით.

**ინდიკატორი 3.3.2.1  დაკმაყოფილებულია.**

**2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და თვითმმართველობა.
აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების  ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს თავმჭდომარეებთან ინტერვიუებითა და ოქმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით. გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მშობლებს ეძლევათ მასწავლებლებთან პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა.
მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ისინი შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ კლასს ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.
დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლის თვითმართველობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ამსახველი თიმსის პლატფორმისა და სოციალური შიდა ქსელის ფოტომასალა
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
4. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

6. თვითმმართველობის ოქმი;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არის შეთანხმებული. სკოლას ჰყავს განსაზღვრული სართულებს შორის მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა“ დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სკოლაში:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას;
ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;
გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირებას;
დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლის დირექცია და უფლებამოსილი პირი, რომელსაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არის სერტიფიცირებული სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ.

აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლაში სამივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები და კედელზე გამოკრულია 112 -ის ნომრები. სკოლას ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო.
სკოლას აქვს კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს 1 ექიმი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის შესაბამისად.

სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

ვიზიტის პერიოდში, დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ უსაფრთხოების წესებს, საევაკუაციო გეგმას და საგანგებო სიტუაციებში სწორად რეაგირებაც შეუძლიათ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლას მიღებული აქვს რეკომენდაციები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2022 წლის 17 ივნისს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სკოლაში ჩატარდა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. 2022 წლის 20 ივნისს, სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნის დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის N718 მიწერილობის თანახმად, შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის მიზნით სკოლისათვის სავალდებულო გახდა გარკვეული ღონისძიებების შესრულება. სკოლა ეცადა საკუთარი ძალებით კომპანიის მოძიებას,რომელიც შეასრულებდა შესაბამის სამუშაოებს,თუმცა მცირე ბიუჯეტის გამო დღემდე ვერ შეძლო. 07.04.2023 წელს გაგზავნილია მიწერილობა სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტში ნომრით N393537 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან საშუამდგომლოდ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთვის გაგზავნილი შენობის ექსპლუატაციისა და მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ აქვს მიღებული პასუხი დასკვნასთან დაკავშირებით.

სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

**რჩევა :**
**ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოგიდგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.4.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადების მიხედვით, სკოლა 2023 წლის 30 ივნისიდან 2024 წლის 24 მაისის ჩათვლით, უზრუნველყოფს სკოლის ტექნიკური მდგრადობის და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნის გეგმის მოპოვებას.

სკოლამ არგუმენტირებულ პასუხთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 30 ივნისს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გაგზავნილი წერილი NMES 1 23 0000796946 (დანართი 3).

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუმველყოს სკოლის ტექნიკური მდგრადობისა და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნის მოპოვება 2023 წლის 30 ივნისიდან 2024 წლის 24 მაისის ჩათვლით ჩათვლით.

**ინდიკატორი 3.4.1. მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი ,, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის მორიგეები და სკოლოს დარაჯი. აღნიშნული დოკუმენტებითა და პროცესში ჩართული პირებით სკოლა არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის კარისკაცის მიერ, ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება.

**ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა წევრისათვის შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელიც დასტურდება სასკოლო ცხოვრებაში სკოლის დირექციის, ექიმის, ასისტენტის, ფსიქოლოგიასა და სპეციალური მასწავლებლის აქტიური თანამომაწილეობით, მოსწავლეთა რეფერირების შესაძლებლობებით, ინკლუზიური სწავლების განხორციელებით.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ფსიქოლოგიურად ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის წესი.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეშესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესებიდა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კლუბები, განხორციელებულია პროექტები და ღონისძიებები ბულინგთან, ძალადობასთან, თანამშრომლობით, ურთიერთ პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნასთან, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრასთან, ჯანსარი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასთან და ადამიანის უფელებეის/ მოვალეობების გააზრებასთან თითოეულ მოსწავლეში პიროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გავზარდასტან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი ,, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“, რომლის მოიცავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმებს, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირების საკითხები. სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრულია ინსტრუქციები სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.

სკოლას გამოყოფილი ჰყავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის ექიმი. ექიმთან გასაუბრების დროს დასახელდა ის ვალდებულებები, რომელიც მას აკისრია: სასკოლო სივრცის დათვალიერება და სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება. დამალგებლებს განსაზღვრული აქვს გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ.

სველი წერტილებისა და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ჯანდაცვის მიერ დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებთან შესაბამისობა, კერძოდ, საკალო ოთახები და სველი წერტილები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსებით. დამლაგებლებთან (სკოლას ჰავს 2 დამლაგებელი) ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საპირფარეშოებისა და საკალო ოთახების დალაგება ხდება სველი წესით დღეში რამდენიმეჯერ.
სკოლის ექიმი აქტიურად არის ჩართული სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფისად.

**ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა უზრუნველყოფოს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცების დაცვას. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მრთვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი ( საქმის მწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას,შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით. სკოლაში დირექტორის ბრნებით შექმნილია დოკუმენტი ,, პერსონალური მონაცემების დაცვა“, რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი (შემდგომში „წესი“) გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე.

**ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მექანიზმები. სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილია საინფორმაციაო-საკომუნიკაციო სისტემი განვითარება და სკოლის ციფრული განვითარება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წაროადგინა ციფრული განვითარების გეგმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებსა და პროცედურებს. ადგილზე ვიზიტის დროს საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ სკოლა მესამე პირს არ გადასცემს კონკრეტულ ინფორმაციას. სკოლას ბრძანებით ჰავს განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშვებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში მუშობს უფლებამოსილი პირი. მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აკისრია მას და სკოლის დირექციას. სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ უფებამოსილ პირს დახმარებისთვის. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების ეფექტიანობას და მის ნიადაგზე ახდენს ახალი დამცავი მექანიზმების დამატებას. სკოლა უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით აღიჭურვა ვიდეოთვალითა და სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმებით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
2. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
3. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
4. ხელშეკრულება ექიმთან, დამლაგებლებთან, დარაჯთან;
5. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შენობა არის 3 სართულიანი. სამივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები. მესამე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცეცლარია, პირველ სართულზე განთავსებულაი ექიმის კაბინეტი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

რესურს ოთახი და სპორტული დარბაზი. მეორე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, სველი წერტილები, საკალსო ოთახები, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორტიის რესურსების შესანახი მცირე ზომის ოთახები, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი თუმცა სკოლას აქვს დიდი სივრცეები ფოიეს სახით, რომელსაც იყენებს სპორტული აქტივობებისა და ღონისძიებებისათვის.
ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა სასკოლო სივრცე:

- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, და სკამებით (სულ აქვს 270 მერხი და სკამი) კარადებით, სასკოლო დაფით, მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით და ნამუშევრებით.
- სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ფიზიკის ცალკე, ქიმია/ბიოლოგიის ცალკე) კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი.

მიღება ჩაბარებებითა და შესყიდვის დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად უზრუნველსაყოფად აქვს 270 მერხი და სკამი, 9 ლეპტოპი, 2 პერსონალური კომპიუტერი და სასწავლო წლის ბოლოს ასევე სკოლამ მიიღო 12 კომპიუტერი, რომელიც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

გარემო უსაფრთხოა, მოწესრიგებული და მყუდრო. სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელიც შედგება 8802 წიგნადი ფონდისაგან, განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. სკოლას აქვს 493 მხატვრული ლიტერატურა დანარჩენი სასკოლო სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკას აქვს ბიბლიოთეკის წესი. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიება და გაცნობა. სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია შემდეგი ინტენსივობით:

- უძრავი ქონების - სამ წელიწადში ერთხელ;
- ძირითადი აქტივების, ფასეულობების - ყოველწლიურად;
- მზა პროდუქციის, სტრატეგიული მარაგების, დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების, სხვა დანაჩენი მატერიალური მარაგების - წელიწადში ერთხელ;
- ფულადი ანგარიშების და ფულადი დოკუმენტების კვარტალში ერთხელ;
- საბიბლიოთეკო ფონდის ხუთ წელიწადში ერთხელ; ბიბლიოთეკარმა ისაუბრა წიგნების ჩამოწერის სირთულეზე.

სკოლას ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შესახებ ბრძანება აქვს გამოცემული, რომლის საფუძვლად გეგმიური შემოწმებაა მითითებული.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 163 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლაში არის 12 ფინანსური კლასი. სკოლას აქვს შესაძლებლობა 2 ცვალში უზრუნველყოს მოსწავლეთა გაზრდილი კონტინგენტი, კერძოდ, 400 მოსწავლე.

სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 400 მოსწავლეზე. სკოლის ეზო მოწესრიგებულია, შემოღობილია და უსაფრთხოა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლას აქვს ორი შემოსასვლელი ჭიშკარი, სკოლის შენობაბს აქვს ორი

შემოსასვლელი კარი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მოწესრიგებულად გადაადგილებას სასკოლო სივრცეში. სკოლის ეზოში არ არის სპორტული მოედანი. მოსწავლეები ძირითადად სარგებლობენ სპორტული დარბაზით. სკოლსი დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლა საჭიროებს სასწარაფოდ ღობის რეაბილიტაციას, რომელიც ასევე ვიზუალური დატალიერებითაც დასტურდეა, რომ მოსწავლეების სკოლაში ყოფნა იყოს უსაფრთხო.

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობის ნახაზი, მირება- ჩაბარების აქტები, ანგარიშ ფაქტურები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ რესურსები.

**ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის ინტერვიუს, ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის სკოლაში არსებობს რეკრიაციული სივრცე (დერეფნები, ეზო). სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რომელიც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით. სკოლას აქვს პირველი სართული, რომელიც პადუსის გარეშე იძლევა პირველ სართულზე შესვლას. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები ადაპტირებული საპირფარეშოების, რომელიც როგორც დირექტორმა განმართა სამი დღის ვადაში დასრულდება. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. რესურსოთახი გამდიდრებულია სსსმ მოსწავლეთათვის საჭირო ინვენტარით: კომპიუტერით, პრინტერით, სახელმძღვანელოებით, მერხებით, სკამებითა და . მოსასვენებელი სავარძლით.

სკოლას არა აქვს სართულებს შორის პანდუსები. სკოლის დირექტორთან ინტერვის დროს აღინიშნა, რომ სკოლა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებისას აუცილებლად გაითვალისწინებს სართულებს შორის პანდუსების მოწყობისთვის სამუშაობეის განხორციელევბას.

**ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

აქვს  ბიბლიოთეკა, ფოიე და რეკრეაციული ზონები სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება რომ ბიბლიოთეკარი ჩართულია მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში და აქტივობებში. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.  სკოლაში არის  ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა.  სკოლის ეზოში მოწყობილია სივრცე - სადაც მოსწავლებს შეუძლიათ შეკრება.

**ინდიკატორი  3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო  სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები), სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), კლასგარეშე ლიტერატურა,  კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო ინვენტარი, ბუნებრივი გარემო და სხვა. აღნიშნულ სივრცეებში  განთავსებულია კურკულუმით განსაზღვრული და კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის სასწავლო რესურსები:  საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი,  ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები, რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, კომპასი, გლობუსი,  მულაჟების, პლაკატები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

რეაქტივები, ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, სახატავი მასალები, მუსიკალური ცენტრი და სპორტული ინვენტარი -ბურთები, ლეიბები, ჰულაჰუპები, ჭადრაკის დაფები.
სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსების განსათავსებლად გამოყოფილი აქვს სივრცე-2 ოთახი, სადაც განთავსებულია რესურსები-მულაჟები, პერიოდულობის სისტემა, ქიმიური ჭურჭელი: კოლბები, სინჯარები, მინის წკირები, მენზურა. სკოლის ლაბორატორიაში გამოიყენება ქიმიური რეაქტივები, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებს მასწვლებელი, კერძოდ აღნიშნული რესურსები გააქვს საკლასო ოთახებში. სკოლას არა აქვს ოთახი დამატებიტ სტემის ლაბორატორიის მოსაწყობად. დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის.
სკოლას აქვს ეზო, სპორტული დარბაზი, ფოიე და ბიბლიოთეკა სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობების/პროექტების განსახორციელებლად. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ აქვს შენობას დიდი ფოიე- სივრცეები, სამივე სართულზე, რომელსაც აქტიურად იყენებს სხვადასხვა სპორტული, თუ შემეცნებითი ღონისძიებებისათვის.
ინტერვიუირების დროს სასკოლო საზოგადოების მიერ ჩამოთვლილ იქნა პროექტები და აქტივობები, რომელიც მოცემულ სივრცეებში გაიმართა.

**ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასკოლო სივრცის ამსახველი ფოტოები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. ბიბლიოთეკის დებულება და სამუსაო გეგმა
3. ბიბლიოთეკარის სარეგისტრაციო ჟურნალები
4. რესურსოთახის ფოტომასალა
5. ლაბორატორიების დებულებები
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,
7. სკოლის ნახაზი
8. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;



   სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენის მასალებში მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექნიზმები ძირითადად განსაზღვრულია შინაგანაწესში და სკოლის მიერ შექმნილ დოკუმნეტში ,, მოსწავლის ადაპტაციის წესი", ასევე თითოეულ დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებში განსაზღვრულია სკოლაში მოსწავლის ადაპტაციისას განსახორციელებელი მექანიზმები. ადაპტაციის წესისა და კლასის დამრიგებლის ფუნქციების მიხედვით მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციას კლასის დამრიგებელი ახდენს. ასევე დამრიგებელს ევალება კლას საათების ჩატარება ამ მიმართულბით. პირველ კლასელთა სასკოლო სივრცის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამრიგებელი და ბიბლიოთეკის გამგე. ასევე 2023-2024 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა, რომლის პასუხისმგებელი პირები სკოლის საზოგადოებაა.

   **ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**
   სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში სწავლის დასაწყისში, პირველკლასეთათვის იმართება მიღების დღე, სადაც მშობლებს ხვდებიან დირექციიც წარმომადგენლები და მომავალი მასწავლებლები. სკოლის სივრცის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამრიგებლები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობა, რათა მოსწავლემ სწავლის დაწყებისას მარტივად შეძლოს ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სკოლის ფიზიკური გარემო, კერძოდ, ნათელი და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, აღჭურვილი შესაბამისი თვალსაჩინოებებითა და რესურსებით, რესურსოთახით. იტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ბაღის აღსაზრდელათა ჩართულობას სასკოლო ღონისძიებებში, რომ შემდეგ პირველ კლასელს გაუმარტივდეს სკოლასთან ადაპტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა აძლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, დამატებითი მომსახურეობით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და თანამშრომლობით. მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმოამდგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. მოსწავლეებს ენიშნებათ საშემოდგომო და სხვა ტიპის გამოცდების წინ საკონკულტაციო საათები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებულად ჩართულ მოსწავლეებს სკოლა გადასცემს სიგელს. მოსწავლეები იყენებენ სკოლის ბაზაზე არსებულ სასწავლო რესურსებს. რესურსები ასევე შექმნილია მოსწავლეთა მონაწილეობით.

**ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სსსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლაში მოსწავლის მიღწევების გასაუმჯობესებელ კონსულტაციებს და მხარდაჭერას არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმითა და და შინაგანაწესით, რომლის მიხედვით თითოეული საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებაზე. კათედრის ანგარიშში მოცემულია , რომ კათედრის ყველა წევრი აქტიურად არის ჩართული სწავლა–სწავლების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლესთან მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებლები. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ შეხვედრებს, სადაც განიხილება სხვადასხვა საკითხები მოსწავლეთა საჭიროებების მიმართ. ასევე, კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ერთმანეთში გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

თანამედროვე მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. განიხილავენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, რის საფუძველზე გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ იგეგმება მოსწავლის შესაძლებლობებზე და შედეგების გაუმჯობესებაზე მორგებული პროექტები და კომპლექსური დავალებები სოლო შეფასებები, განმავითარებელი შეფასებები (დაზუსტება, წახალისება).

**ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ,,მატერიალიური რესურსებით სარგებლობის წესით", ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესით", ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესით", ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით" და ,,სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესით.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მოცემული დოკუმენტებით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები.

სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა მოსწავლეს საჭიროებისამებრ.

სკოლაში მოსწავლეებს სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემდოგომოს ჩატარების წინ უტარდებათ საკონსულტაციო და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით.

**ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტით ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესით", განხორციელებული და დაგეგმილი მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებით: კლუბებით, ექსკურსიებით, კონფერენციებით, პროექტებითა და ღონისძიებებით.

მისიის შესრულებისთვის პრაქტიკულად განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი მრავალფეროვანია:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- მოსწავლეთა მოთხოვნილებებზე მორგებული სწავლება ;
- მყარი კავშირი პრაქტიკასთან (ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაცია - ,,გამაკეთებინე და ვისწავლი’’);
- პროფესიული/სახელოვნებო განათლების მხარდაჭერა;
- სწავლებისთვის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს :
- არაფორმალური სივრცეების მოწყობას;
- წრეებისა და კლუბების შექმნას მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით;
- ერთობლივი პროექტების განხორციელება პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

თვითმართველობას შექმნილი აქვს კლუბის დებულებები, გეგმები და განხორციელებული აქვს აქტივობები, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო-მასალით, გაკეთებული აქვს წლიური ანგარიში, სადაც ჩამოყალიბებული აქვს ის აქტივობები, რომელიც განახორციელა სასწავლო წლის განმავლობაში, წლიურ ანგარიშში კლუბების მუშაობა შეფასებულია დადებითად.

კლუბები შეიქმნა დირექტორის და პედაგოგიური საბჭოს მხარდაჭერით, სკოლამ წარმოადგინა ყველა კლუბის დებულება. კლუბებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან მათი ინტერესების მიხედვით. სკოლაში კლუბების მიერ განხორციელებული აქტივობები განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით განახორციელა სხვადასხვა საერთაშორისო, სასკოლო და მინი პროექტები კონფერენციები და ღონისძიებები, რომლებშიც ჩართულია ყველა მოსწავლე კლასების და საფეხურების მიხედვით.

შესწავლილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მხარდაჭერას არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა ინიციატივებით დაგეგმილი ღონისძიებების მიმართ, ეს მიმართულება სკოლის ძლიერი მხარეა და სრულად შეესაბამება სტანდარტის ინდიკატორს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა ახდენს დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ანალიზს, ისმენს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების უკუკავშირს და ითვალისწინებს, რის საფუძველზეც ცვლის და აუმჯობესებს შესაბამის მომსახურებას

დასტურდება (მტკიცებულებები): მაგალითად მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება ითვალისწინებს, რომ ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომაზე განხილვის შედეგად.

**ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შინაგანაწესი,
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა,
- ბიბლიოთეკის წესი, სოციალური გვერდი,
- მატერიალურ, რესურსებით სარგებლობის წესი, უსაფრთხოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი,
- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი,
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, საკოლო კლუბების (დებულებები, წესდებები, გეგმები,რეფლექსიები, ფოტომასალა),



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- პროექტის გეგმები, რეფლექსიები,
- კოლეგების უკუკავშირები,
- მოსწავლეთა თვითშეფასებები,
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში კარიერული დაგეგმვისვა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით სკოლას არა ერთი აქტივობა აქვს განხორციელებული. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს საზოგადოებრივ კოლეჯთან გაფრომებული ჰქონდა მემორანდუმი მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ინტერესებიდან გამომდინარე, სტილისტის პროფესიის შესწავლის მიზნით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვისაც გეგმავს მემორანდუმის განახელაბს.

**ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ განხორციელებული ყველა აქტვივობა, რომელიც მიმართულია კარიერული განვითარებისა და პროფესის არჩევისათვის გაცნობილი და მიწოდებულია მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. სკოლა საფეხურების შესაბამისად მშობლებს და მოსწავლეებს აწვდის ყველა ინფორმაციიას პროფესიული და უმაღლესი სასწავლების პროგრამების, ფაკულტეტების და სპეციალობების შესახებ, რის საფუძველზეც მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა სასწავლებლების შეთავაზებებს და გააკეთონ შესაბამისი არჩევანი.

**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს რომ სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს, ნებისმიერი უკუკავშირი, დამდგარი შედეგები და შესაბამისად დაგეგმოს აქტივობები, შემდგომი სასწავლო წლებისათვის, რათა უფრო სრულყოფილი გახადოს პროფესიის არჩევის პროცესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

**შეფასება**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლას აქვს ხანგრძლივი და ნაყოფიერი პრაქტიკა ინკლუზიურ მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებით, ეს გამოცდილება ათეულობით წლებს ითვლის, ყავს კომპეტენტური სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას. ამ ეტაპისთვის სკოლას ყავს 5 სსსმ მოსწავლე და 2 სპეც მასწავლებელი. შემუშავებული და დაცული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ყველა მექანიზმი. პროცედურები გარკვევით აქვს გაწერილი, დაწყებული მშობლის მიერ განცხადებით სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდზე მიმართვიდან. ისგ-ს შექმნითა და განხორციელებით და მონიტორინგითა და მიღწეული შედეგების შეფასებით დამთავრებული. სკოლას ბრძანებით აქვს შექმნილი ისგ ჯგუფები, რომლებიც მინიმუმ 4 ჯერ წელიწადში იკრიბებიან და განიხილავენ მოსწავლის მიღწევებს, სირთულეებსა და საჭიროებებს. საჭიროების შესაბამისად შეაქვთ ცვლილება ისგ-ში და აძლევენ რეკომენდაციას საგნის მასწავლებლებს. მნიშვნელოვანია, რომ ისგ შედგენილი აქვთ საგნების მიხედვით, სსსმ მოსწავლე ჩართულია მოსწავლეებთან ერთად საგაკვეთილო პროცესში და ზოგჯერ გეგმის შესაბამისად უტარდებათ ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს-ოთახში. სკოლას აქვს ინტერვენციების დაგეგმვის პრაქტიკა, რომელიც დროში გაწერილია, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები და გაზომვადია. სკოლას ასევე აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაც, სადაც ასევე დროშია გაწერილი შესასრულებელი საკითხები, ბიუჯეტი, შესაძენი რესურსები და სხვ. აქვს რესურს-ოთახი და ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო. სამოქმედო გეგმაში წერია, რომ სსსმ მოსწავლე ასევე ჩართულია არაფორმალურ განათლებაში, სხვადასხვა სასკოლო და საგანმანათლებლო აქტივობებში.

**ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სსსმ მოსწავლის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომლებიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნით შექმნილი აქვთ ადაპტირებული გეგმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნების მიხედვით. სისტემატურად მიმდინარეობს დაკვირვება მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე და ხდება შესაბამისი ინტერვენციის განხორციელაბა. ისგ ჯგუფის სხდომების მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეების მშობლებიც. სსსმ მოსწავლეთა განვითარება მხარდაჭერილია სასკოლო საზოგადოების მიერ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ჩართულია მოსწავლეზე დაკვირვების და შესაბამისი დაგეგმვის პროცესებში. მასწავლებლებს აქვთ ინფორმაციის ურთიერთ გაზიარების მექანიზმები, ეწყობა საგანმანათლებლო პრეზენტაციები სხვადასხვა დარღვევების შესახებ მაგ. აუტიზმის შესახებ, რაც ამაღლებს სასკოლო საზოგადოების ცნობიერებას. სპეც მასწავლებლებს აქვთ კვლევები ჩატარებული მოსწავლეთა ქცევების მართვის შესახებ, რასაც უზიარებენ ერთმანეთს, შესაბამისად ინდიკატორთან სრულად შესაბამისობაშია წარმოდგენილი მტკიცებულებები.

**ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის ბრძანებები ისგ ჯგუფის შექმნაზე;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა-შეფასება;
- ადაპტირებული გეგმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- ისგ გეგმები;
- პრეზენტაციები;
- მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- მასწავლებელთა ანგარიშები.

**შეფასება**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**
   სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო  სკოლას დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით შეთავაზებული  აქვს ცეკვის წრე. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა განცხადებები და ცეკვის მასწავლებლის ხელშეკრულება.ასევე წარმოადგინა ცეკვის მასწავლებლის სასწავლო პროგრამა და სამოქმედო გეგმა.

**ინდიკატორი  4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

   სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით შეთავაზება განხორციელდა მშობელთ მიმართვის საფუძველზე. ცეკვის წრე ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

   **ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.**

   **3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სსიპ- ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლის მიერ დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
**ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მშობელთა განცხადებები, ცეკვის მასწავლებლის ხელშეკრულება, ცეკვის მასწავლებლის სასწავლო პროგრამა და სამოქმედო გეგმა.

**შეფასება**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| **სტანდარტი** 2 | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი** 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი** 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი** 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი** 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი საფეხური**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, ჩატარებული ომპლექსური დავალებები. შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან, რათა ესაუბრათ ზოგადი განათლების რეფორმის უპირატესობაზე, კურიკულუმის შექმნის მიზნებზე, გაიმართა დისკუსია. ზოგიერთი კომპლექსური დავალების მიმართ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპიურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.

**2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სავალდებულო თემების რომელი საკითხები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებია გამოკვეთილი. სავალდებულო თემების, საკითხებისა და შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზით შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს, ასევე, დაფიქსირებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მოსაზრებები გამოკითხვების, SWOT-ანალიზის და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა , რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრების მიხედვით, კურიკულუმზე მუშაობისას, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და ღებულობენ მშობელთა უკუკავშირებს. ასევე, სკოლაში ვიზიტისას სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა კითხვარები, რომელთა საშუალებითაც კურიკულუმის შედგენამდე კათედრებმა განახორციელეს დაწყებითი საფეხურის მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევა საგნობრივ კურიკულუმთან მიმართებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. ზოგიერთ მშობელს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, ამიტომ მათ მიეწოდებათ ამობეჭდილი ვერსია. სასწავლო წლის დაწყებამდე, მშობელთა კრებაზე განვიხილავენ იმ დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოუწევთ სასწავლო წლის განმავლობაში და იღებენ უკუკავშირს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია***
- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- *სადამრიგებლო პროგრამები*

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზით ჩანს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება და ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა. საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გრძელვადიან მიზნებად მითითებულია სამიზნე ცნებები და მათი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. ასევე, სკოლის მისიაში, ხედვასა და სკოლის მიზნებსა და ამოცანებში მკაფიოდ ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს (მოთხრობა, იგავი, წერილი, კომიქსი, რეკლამა, პოსტერი), რომელთა საშუალებითაც ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხთან მიმართებით. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) სრულყოფილად არის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო. პირველ და მეორე კლასში დაიწყეს მუშაობა ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოებით, კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. (მაგ. ქართულსა და ბუნებაში-,,მოხუცი და ბროლია“. ქართული-ტექსტის დამუშავება,ბუნება-ძუძუმწოვართა სასიცოცხლო ციკლი)სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო პროგრამების აღმწერ დოკუმენტებში -საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია შუალედური სასწავლო მიზნები-კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისი ფორმითა და შინაარსით მიმართულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე - სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. სასწავლო პროცესის ამგვარი დაგეგმვა და განხორციელება ხელს უწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. სკოლის კურიკულუმის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია)მტკიცებულებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათი(ინტეგრირებული კომპლექსური დავალება ქართული,ბუნება) გლობალურ-ფუნქციურ უნარებზე მუშაობა იკვეთება ასევე სხვადასხვა აქტივობებში,მაგ: მეხუთე კლასში განხორციელებული მინი-პროექტი-,,არა ბარბარიზმებს", კითხვის უნარის გაუმჯობესების მიზნით-წიგნის ერთობლივი კითხვა და სხვა

რჩევა: დაწყებით საფეხურზე მუსიკის კურიკულუმებში დაემატოს ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეომასალა), ხოლო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაემატოს სულ მცირე თითო კომპლექსური დავალება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაკლებად იკვეთება დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომები , ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევს ინტერესის, საჭიროების და შესაძლებლობების მიხედვით წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა/უნარები. დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები უფრო ნათლად გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და

სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება; ასევე, ვიზიტისას სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა გაკვეთილის გეგმები, რომლებშიც ასახული იყო დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ, წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პოცესს. როგორც საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები კათედრებზე ახდენენ წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზს, რომლის საფუძველზეც შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში, მაგ.:კათედრებს შერჩეული აქვთ და წარმოდგენილი რესურს N 12-ის სახით სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს,იშვიათად წერილობითს.ავტორიზაციის ქოუჩინგისას მათ შექმნე რამდენიმე შეფასების რუბრიკა გრძელავდიანი მიზნების გათვალისწინებით.როგორც აღნიშნეს,ამჟამად,ნელ-ნელა, ქმნიანკომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით განმსზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს.სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***თვითშეფასების ფორმა***
- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **კათედრის ოქმები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები სასწავლო შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლის ფარგლებშიც ვითარდება მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები. ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არამედ სკოლის სოციალური ქსელებიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს მესამე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლები სწორად და გააზრებულად გეგმავენ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, ხშირად უწევთ გაკვეთილის გეგმიდანაც გადახვევა,თუკი ამას მოსწავლეთა ინტერესები მოითხოვს,მაგ. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, მე-3 კლასში საინტერესოდ,მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით წარიმართა კომპლექსური დავალება-მოთხრობის სიუჟეტის გაგრძელება. ასევე, სასწავლო პროცესში მიმართავენ სახალისო აქტივობებს,რაც ემსახურება არა მხოლოდ მათ აქტიურ ჩართულობას,არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრები მიზნად ისახავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ სწავლა/სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები მოწმობენ, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, როცა ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება ყველა საგანში, მაგ, აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, რაც,საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს; სკოლა დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ეს აზრი გამყარდა პედაგოგებთან გასუბრების შედეგადაც, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა. შესაბამისად, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

კათედრის მიერ წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად ფორმულირებული შუალედური მიზნები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება მოხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყოფს სასწავლო მასალის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***
- ***შეფასების რუბრიკები;***
- ***ინდ .სასწავლო გეგმები;***
- ***სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.***

2.2.2. **სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია თითოეული საგნის ყველა სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. ასევე თითოეული საკითხისათვის შერჩეულია შესაბამისი რესურსები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**რჩევა**-უცხო ენების კათედრამ მეტი აქცენტი გააკეთოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებაზე.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარებისათვის;კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლას-საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დაწყებით საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისათვის გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ფორმები: ტესტები, კომპლექსური დავალებები, განმავითერებელი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, პროექტები, პრეზენტაციები და სხვა. შეფასება არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და ემსახურება მოსწავლის პროგრესს, თუმცა საჭიროა მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში - როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი, ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, შეფასების რუბრიკები, „გასასვლელი და შემოსასვლელი ბილეთები", „ჭეშმარიტი და მცდარი დებულებები" და ა.შ.; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლოო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა რომ .შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. კათედრებს აქვთ მზაობა შექმნან კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები სტანდარტით მისაღწევ შედეგებთან, გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან კავშირში, რაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას; წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებშიც ზუსტადაა გააზრებული კრიტერიუმები, რომლებიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობასა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკასა და მექნიზმში ნათლადაა ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

5.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ შემუშავებლი და გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი პროცედურულად გაწერილი იყო ზოგადი სახით; კონკრეტულად შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები მოცემული არ იყო. სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (2-55) დამტკიცებული ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**
სკოლა აწარმოებს შეფასებსთან დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც ელექტრონული ჟურნალის ასევე პედაგოგების პირადი ჩანაწერების სახით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასებისთვის განკუთვნილი ჩაბარებული დავალებები შენახული იყოს, რასაც ადასტურებს პედაგოგების მიერ გაზიარებული მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი დამადასტურებელი მასალა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***
- ***სადამრიგებლო პროგრამები***

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.**სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ისგ-ს შექმნის მეთოდოლოგია და მოცემულია სსსმ მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

.2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის თვითშეფასების კითხვარის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება. მოსწავლეები თავად ირჩევენ და განსაზღვრავენ საკუთარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებში. პედაგოგები აღნიშნავენ, მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მათ აკადემიურ შესაძლებლობებს. უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3.. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**
სკოლის თვითშეფასებიდან, გასაუბრებიდან, კათედრების ოქმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად. კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ კურიკულუმებზე, შეფასების რუბრიკებზე მუშაობისას, ერთობლივად აფასებენ და რეფლექსიის საფუძველზე იღებენ სასწავლო პროცესის განვითარებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად, კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კათედრის მუშაობა ეფუძნება კათედრის წევრებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით ასევე კათედრებს შორის, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას, კათედრის როგორც გუნდის ფუნქციონირებას, მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციას. სკოლაში არსებობს მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობითი კულტურა. სწავლების შესაბამის საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ თანამშრომლობითი გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში ჩართულია კლასის დამრიგებლები, საგნების პედაგოგები და დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ კათედრა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს, რაც დასტურდება გასაუბრებისას. პედაგოგებს გააზრებული აქვთ საკუთარი პასუხისმგებლობა და ქმნიან პოზიტიურ კლიმატს, სადაც ორიენტირება ხდება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. კათედრის წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, ახორციელებენ პროექტებს და აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***
- ***სადამრიგებლო პროგრამები***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, 2023 – 2024 სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სრულად ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც გამოკვეთილია მონაცემთა მიზნობრიობა, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესები, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებსათვის. არსებული გამოცდილებით საგნის მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს გამოცდილება და მზაობა განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგისა და

შეფასების განხორციელებისა. ასევე სკოლისსკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა,რომ -მონიტორინგის დაწყებამდე გათვალისწინებულია კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად,პრობლემის იდენტიფიცირებისას განისაზღვრება ინტერვენციები,გაზომვადი ინდიკატორები ,პროცესის ინდიკატორები,შედეგების ინდიკატორები,გადანაწილებულია პასუხისმგებლობა,საბოლოოდ კი, ანალიზის საფუძველზე წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის.შესაბამისად.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2.**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

პედაგოგებთან ინტერვიუდან ირკვევა, სკოლის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება ანგარიშვალდებულებები, დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მონიტორინგის პროცესი ყურადღებას ამახვილებს მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და შეფასება კი არკვევს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მიცემა. სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, პედაგოგები აკვირდებიან კოლეგების გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში დამკვიდრებული ამგვარი მიდგომა დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდმობის ოქმები;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.**

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1,შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე.

მომავალ წელს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გეგმავენ დაეყრდნონ წინა წლის გამოცდილებას, გააზრებული აქვთ, რომ ეს დაეხმარება მათ ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ყურადღებას გაამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელენენტზე. ასევე იაზრებენ, რომ აუცილებელია ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის როლი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში; პასუხისმგებლობის გადანაწილება სასკოლო საზოგადოებაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას დაადგინონ მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი და ა. შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლის დაწყებითი კათედრა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა მოსწავლეზე დაკვირვება, დღიურის წარმოება, მოკლე ჩანაწერების გაკეთება, კომენტარი და სხვა. რომელთა მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.- სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად, 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, მათი შესაძლებლობები, მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას.

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**რჩევა:** შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში;

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდმობის ოქმები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**
სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმები;***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდ სასწავლო გეგმები;*
- *სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;*
- *კათედრების სხდომის ოქმები;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდმობის ოქმები.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| სტანდარტი 2 | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი- საბაზო საფეხური**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ( კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. საბაზო საფეხურის საგნობრივ კათედრებზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, უკვე ჩატარებული კომპლექსური დავალებები, შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან, რათა ესაუბრათ ზოგადი განათლების რეფორმის უპირატესობაზე, კურიკულუმის შექმნის მიზნებზე, გაიმართა დისკუსია. ზოგიერთი კომპლექსური დავალების მიმართ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპიურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვა წარიმართება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები, გათვალისწინებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საგნობრივი ექსპერტების მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა მასწავლებლებს დახმარება გაუწია. ამჟამად კათედრებზე სრულყოფილად შემუშავებულია კურიკულუმები და საჭიროების შემთხვევაში კათედრის წევრები შეიტანენ გარკვეულ ცვლილებებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2.**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. მაგ:
მათემატიკის კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას და მათი ინტერესების კვლევას. ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, კურუკულუმები შეესაბამება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, პრიორიტეტებს, შეხედულებებს, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა მათემატიკის ისგ-ის, მათემატიკის კურიკულუმებით და მათი შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი განხორციელების პროცესის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა განსაზღვრავს მომდევნო სასწავლო წლის პროგრამას და მისი შესრულებისათვის საჭირო აქტივობებს, ამ პროცესში ჩართულია ყველა კათედრა და მთლიანად სასკოლო საზოგადოება. განიხლება კათედრების მიერ თემის ფარგლებში რა საკითხებისა და ქვესაკითხების სწავლებას გეგმავენ, რომელი კომპლექსური დავალებების განხორციელებას აპირებენ, რა რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების თუ კონკრეტული აქტივობების განხორციელების პროცესში, შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს და ა.შ. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი და თანხმდებიან ერთ აზრზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებიც. ამგვარად, კურიკულუმი შეთანხმებული და გაზიარებულია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

5. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, შესაბამისად მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები ასევე გაზიარებულია სასკოლო თემის მიერ. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით და კომპლექსური დავალებებით, რომლის შესაბამისი მოსწავლის ბარათები მიეწოდება მოსწავლის მშობლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია***
- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***
- ***სადამრიგებლო პროგრამები***

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზით ჩანს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება და ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა. საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გრძელვადიან მიზნებად მითითებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო პროგრამების აღმწერ დოკუმენტებში -საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია შუალედური სასწავლო მიზნები-კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისი ფორმითა და შინაარსით მიმართულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე - სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. სასწავლო პროცესის ამგვარი დაგეგმვა და განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას;

რჩევა: საბაზო საფეხურზე მუსიკის კურიკულუმებში დაემატოს ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეომასალა), ხოლო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაემატოს სულ მცირე თითო კომპლექსური დავალება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაკლებად იკვეთება დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომები , თუმცა ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევს ინტერესის, საჭიროების და შესაძლებლობების მიხედვით წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა/უნარები. დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები უფრო ნათლად გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება;

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**
შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. 2023–2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილები; მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექნის პროცესში ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბაზო  საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება  ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ, წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პოცესს. როგორც საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები კათედრებზე ახდენენ წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზს, რომლის საფუძველზეც შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში, მაგ.:კათედრებს შერჩეული აქვთ და წარმოდგენილი  რესურს N 12-ის სახით სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი  ინსტრუმენტი , რომლის მიხედვითაც აპირებენ მომდევნო სასწავლო წელს მიმნიმუმ ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას მოსწავლეთა წინარე ცოდნის დასადგენად, ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად გეგმავენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, ღონისძიებების ეფექტიანობას შეამოწმებენ მეორე სადიაგნოსტიკო შეფასებით.

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **კათედრის ოქმები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საბაზო საფეხურზე სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეებით, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასწავლო კურიკულუმი წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მოსწავლე კეთების პროცესში შეძლებს ცოდნის კონსტრუირებას. პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ პროექტებზე (წარმოდგენილია პროექტი, ფოტომასალა, ბმული სოციალურ ქსელში). სკოლის მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად, ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეები ჰყავდეს ჩართული აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლა მომდევნო სასწავლო წელსაც ორიენტირებული იქნება მაღალ სააზროვნო უნარებზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ინტერვიუს დროს პედაგოგეგბმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა - სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრები მიზნად ისახავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, რაც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ სწავლა/სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები მოწმობენ, რომ მასწავლებლები იყენებენ ცოდნის კონსტრუირების პრინციპს, სადაც ახალი მასალა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს, ეს კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

საბაზო საფეხურის კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები: ,,სადეზინფენქციო ხსნარის დამზადება“, „გასართობი პარკის დაგეგმარება“, „დაინფიცირება და ჯანმრთელობის აღდგენა’’ და სხვა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კათედრის მიერ წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე და კათედრებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად ფორმულირებული შუალედური მიზნები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება მოხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.“ საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსურ დავალებების შესრულება, პროექტებზე მუშაობა, მიზნობრივი ექსკურსიები, არაფორმალურ აქტივობებზე ორიენტირება უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***
- ***შეფასების რუბრიკები;***
- ***ინდ .სასწავლო გეგმები;***
- ***სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.***

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოსა და კომპლექსურ დავალებებში ჩანს ორიენტირი სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება ხდება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.კომპლექსური დავალებები გაწერილია თემის ფარგლებში,გამოკვეთილია სამიზნე ცნებები,ქვეცნებები,კომპლექსური დავალების იდეა,მასწავლებლებმა სამომავლოდ უნდა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალებები , რომლებიც განსაზღვრავს იმ ცოდნას , რასაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს და მომდევნო სასწავლო წლიდან შეიტანონ ცვლილებები თემატურ მატრიცაში.საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**რჩევა**-უცხო ენების კათედრამ მეტი აქცენტი გააკეთოს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებაზე.

2**. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში,ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,პერსონაჟის თვისებებზე დაკვირვება,მისი ხედვის კუთხიდან მოვლენების შეფასება, აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დაფიქრდეს მორალურ-ეთიკურ ღირებულებებზე,მართონ საკუთარი ემოციები.მაგ-თხზულების დაწერა- პირადი მოსაზრების გამოხატვა,ანალიტიკური ესეს დაწერა,ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვითმართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების მიზნები და ამოცანები ეყრდნობა მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმისა:

- მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ;
- მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები; გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა; ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში;
- შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით;
- სკოლაში არჩეულია შეფასების I მოდელი. დიაგნოსტიკური შეფასებისას სკოლა იყენებს **„საკლასო წერას“**. დიაგნოსტიკური წერა ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს.

საბუნებისმეტყველო საგნების კათედრას აქვს ეროვნული სასაწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით მოსწავლის შეფასების გამოცდილება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება... შეფასების სისტემა არის სანდო, იმდენად, რამდენადაც კრიტერიუმები იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. რაც შეეხება გამჭვირვალობას, მასწავლებლების თქმით ,,რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახში, ასევე აცნობენ წინასწარ და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. თვითშეფასების კითხვარშიც ნახსენებია, რომ რუბრიკები ცნობილია მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. მტკიცებულებებსა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

5.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ შემუშავებლი და გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი პროცედურულად გაწერილი იყო ზოგადი სახით; კონკრეტულად შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები მოცემული არ იყო. სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (2-55) დამტკიცებული ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა აწარმოებს შეფასებსთან დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც ელექტრონული ჟურნალის ასევე პედაგოგების პირადი ჩანაწერების სახით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასებისთვის განკუთვნილი ჩაბარებული დავალებები შენახული იყოს, რასაც ადასტურებს პედაგოგების მიერ გაზიარებული მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი დამადასტურებელი მასალა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**
სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.
ჯანსაღი კომუნიკაცია, მიმღებლობითი გარემო, ერთიანი ,სისტემური ხედვა როგორც სკოლის, ასევე სახელმწიფო ენის კათედრის ძლიერი მხარეა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის პრიორიტეტულია ერთმანეთის მხარდაჭერა, გუნდურობის განცდა, ზრუნვა მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, წარმატებული გამოცდილების პრაქტიკაში გაზიარება-გამოყენება,კათედრა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

საათების განაწილებისას ითვალისწინებს საათობრივ ბადეს, შეფასების წესი ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერასა და პიროვნულ განვითარებაზე ,შემუშავებულია სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასკოლო კლიმატი ღია და მიმღებლობითია . შექმნილია თანამშრომლობითი გარემო.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, საშუალო საფეხურის კლასების პედაგოგები შეთანხმდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მომავალში შექმნან კურიკულუმების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტი. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**
სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საბაზო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების

ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***
- ***სადამრიგებლო პროგრამები***

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, 2023 – 2024 სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდება სრულად ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც გამოკვეთილია მონაცემთა მიზნობრიობა, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესები, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. არსებული გამოცდილებით საგნის მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს გამოცდილება და მზაობა წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2.**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდომბის ოქმები.**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, მე-9 კლასისთვის წარმოდგენილია თემის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ასევე შემაჯამებელი წერის შეფასების რუბრიკა. მაშასადამე, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და  კომპლექსურ დავალებების შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწვლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს.

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**რჩევა:** შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში;

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდმობის ოქმები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმები;***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***
- ***შეფასების რუბრიკები;***
- ***ინდ სასწავლო გეგმები;***
- ***სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;***
- ***კათედრების სხდომის ოქმები;***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდმობის ოქმები.***

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი- საშუალო საფეხური**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ( კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე სხვადასხვა საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. საშუალო საფეხურის საგნობრივ კათედრებზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, უკვე ჩატარებული კომპლექსური დავალებები. შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან, რათა ესაუბრათ ზოგადი განათლების რეფორმის უპირატესობაზე, კურიკულუმის შექმნის მიზნებზე, გაიმართა დისკუსია. ზოგიერთი კომპლექსური დავალების მიმართ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპიურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სავალდებულო თემების რომელი საკითხები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებია გამოკვეთილი. სავალდებულო თემების, საკითხებისა და შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზით შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს, ასევე, დაფიქსირებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მოსაზრებები გამოკითხვების, SWOT-ანალიზის და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა , რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრების მიხედვით, კურიკულუმზე მუშაობისას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და ღებულობენ მშობელთა უკუკავშირებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, შესაბამისად მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები ასევე გაზიარებულია სასკოლო თემის მიერ. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით და კომპლექსური დავალებებით, რომლის შესაბამისი მოსწავლის ბარათები მიეწოდება მოსწავლის მშობლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია***
- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *საგნობრივი კათედრების ფუნქციები*
- *საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები*
- *სადამრიგებლო პროგრამები*

**2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზით ჩანს, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება და ცოდნის ტრანსფერის ხელშეწყობა. საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გრძელვადიან მიზნებად მითითებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჰოლისტურად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო პროგრამების აღმწერ დოკუმენტებში -საგნობრივი კურიკულუმებში მოცემულია შუალედური სასწავლო მიზნები-კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისი ფორმითა და შინაარსით მიმართულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დამუშავებაზე - სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. სასწავლო პროცესის ამგვარი დაგეგმვა და განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაკლებად იკვეთება დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომები , თუმცა ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევს ინტერესის, საჭიროების და შესაძლებლობების მიხედვით წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა/უნარები. დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები უფრო ნათლად გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება;

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. 2023–2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილები; მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექნის პროცესში ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ, წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პოცესს. როგორც საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კურიკულუმების შედგენისას მასწავლებლები კათედრებზე ახდენენ წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზს, რომლის საფუძველზეც შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში, მაგ.:კათედრებს შერჩეული აქვთ და წარმოდგენილი რესურს N 12-ის სახით სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი , რომლის მიხედვითაც აპირებენ მომდევნო სასწავლო წელს მიმნიმუმ ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას მოსწავლეთა წინარე ცოდნის დასადგენად, ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად გეგმავენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, ღონისძიებების ეფექტიანობას შეამოწმებენ მეორე სადიაგნოსტიკო შეფასებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **კათედრის ოქმები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. მათემატიკის შესაბამის კურიკულუმებში გათვალისწინებულია 10-12 კლასებში სასწავლო წლის განმავლობაში ერთი ან ორი  კომპლექსური დავალების განხორციელება. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი

კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადასხვა რესურსებით. მაგ. მე-10 კლასში STEM დავალება ,,სამუხრუჭე მანძილი“, მე-11 კლასში სასურველ თემატიკაზე კლვევის დაგეგმვა და მონაცემების ინტერპრეტირება და სხვა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მაგ: 2023-24 სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი მოსწავლეთა შეფასების ერთ-ერთი ამოცანაა (თანახმად „ბ“ პუნქტის) - „ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები.“ საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები, პროექტული სწავლება და არაფორმალური აქტივობები არის წინაპირობა იმისა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს და სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს შედეგიანი. ასევე, მათემატიკის კათედრამ საშუალო საფეხურზე გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მათემატიკის საგნის სწავლება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველი ახალი საკითხის სწავლების პროცესში აუცილებლად მოითხოვს წინარე ცოდნის გააქტიურებას და გამოყენებას. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად ,რა ცოდნამ ,გამოცდილებამ ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება ,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ მოსწავლეებმა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ თანატოლების წინაშე ისაუბრეს აღნიშნული დავალების შექმნის პროცესზე , დეტალურად გაანალიზეს თითოეული ნაბიჯი , სწავლის პროცესი , რასაც , შესაბამისად , მოჰყვა უკუკავშირი , როგორც თანაკლასელებისაგან , ისე მასწავლებლისგანაც.ზემოთქმულიდან გამომდინარე,შეიძლება ვიმსჯელოთ,რომ სასწავლო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქცენტს სწავლის სწავლაზე. სკოლის მიერ  წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში  არ იკვეთება, რომ საშუალო  საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საბუნებისმეტყველო საგანებში კომპლექსური დავალების პირობის მე-3 ნაწილი, მასწავლებლის მიერ გაწერილი შეკითხვები, ასევე ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი „ეკოკლუბის“ შექმნა და დაგეგმილი კლუბური მუშაობა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას  დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთოს მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების გზა.
**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).  კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათემატიკის კურიკულუმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

საშუალო საფეხურზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება  კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.“  ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის   საგნებში საგნობრივი კურიკულუმებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის თავმჯდომარის განმარტებით - „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება, მოდელირების, პროექტული სწავლებისა და პრობლემაზე ორიენტირებული დავალებების შეთავაზება; მოსწავლეები უკეთ სწავლობენ და იმახსოვრებენ ახალ ინფორმაციას, როდესაც მონაწილეობენ ცოდნის აგებაში.“  დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებებიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე. ყველა თანამდევი აქტივობა კი ცოდნას ინსტრუმენტად გარდაქმნის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმი***
- ***კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***
- ***შეფასების რუბრიკები;***
- ***ინდ .სასწავლო გეგმები;***
- ***სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები.***

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია ყველა სამიზნე ცნების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

კურიკულუმის ჩარჩოები დამუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემებით. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად ისახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნის მოყვარეობაში გადაზრდას და მოსწავლის მომზადებას საშუალო საფეხურისთვის. ეს კი, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3.**შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

კათედრებს აქვთ მზაობა შექმნას კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები სტანდარტით მისაღწევ შედეგებთან, გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან კავშირში, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას; წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებშიც ზუსტადაა გააზრებული კრიტერიუმები, რომლებიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობასა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკებში ნათლადაა ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სავარაუდოდ, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

5.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლის მიერ შემუშავებლი და გაზიარებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი პროცედურულად გაწერილი იყო ზოგადი სახით; კონკრეტულად შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები მოცემული არ იყო. სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (2-55) დამტკიცებული ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**
სკოლა აწარმოებს შეფასებსთან დაკავშირებულ მონაცემებს, როგორც ელექტრონული ჟურნალის ასევე პედაგოგების პირადი ჩანაწერების სახით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა შეფასება და შეფასებისთვის განკუთვნილი ჩაბარებული დავალებები შენახული იყოს, რასაც ადასტურებს პედაგოგების მიერ გაზიარებული მოსწავლეთა ნაშრომების ამსახველი დამადასტურებელი მასალა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***
- ***სადამრიგებლო პროგრამები***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**
როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლამ უნდა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავება და განხორციელება, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო,, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა. მაგ: მათემატიკის კათედრა საშუალო საფეხურზე გეგმავს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ისგ-ს შექმნის მეთოდოლოგია და მოცემულია სსსმ მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

.2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**
სკოლის თვითშეფასების კითხვარის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება. მოსწავლეები თავად ირჩევენ და განსაზღვრავენ საკუთარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებში. პედაგოგები აღნიშნავენ, მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მათ აკადემიურ შესაძლებლობებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

3.. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, დაწყებითი კლასების პედაგოგები შეთანხმდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მომავალში შექმნან კურიკულუმების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტი. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე**

სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საშუალო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***სკოლის შინაგანაწესი***
- ***სასკოლო სასწავლო გეგმა***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები***
- ***საგნობრივი კათედრების ფუნქციები***
- ***საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები***
- ***სადამრიგებლო პროგრამები***

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტში გაწერილია, რომ კათედრის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლა აპირებს ანალოგიური მეთოდებით იმუშაოს მომავალ სასწავლო წელს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

2.**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**
სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**
სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდმობის ოქმები.**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1,შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, მე-11 კლასისთვის წარმოდგენილია თემის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ასევე შემაჯამებელი წერის შეფასების რუბრიკა. მაშასადამე, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება.

**ინდიკატორი შეესაბამება  სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწვლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**რჩევა:** შექმენით მოსწავლეთა ნამუშევრების/ პორტფოლიოების ბაზა, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში;

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ინდ სასწავლო გეგმები;**
- **სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;**
- **კათედრების სხდომის ოქმები;**
- **პედაგოგიური საბჭოს სხდომობის ოქმები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ***საგნობრივი კურიკულუმები;***
- ***მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის ამსახველი მასალები;***
- ***შეფასების რუბრიკები;***
- ***ინდ სასწავლო გეგმები;***
- ***სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;***
- ***კათედრების სხდომის ოქმები;***
- ***პედაგოგიური საბჭოს სხდომბის ოქმები.***

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -ჯგუფის თავჯდომარე --

თეა გაბელაია--

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი --ია ძირკვაძე-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---თამარი ოღლიშვილი -- 

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---ინგა ხავთასი---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი--თეა მამულია--

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი---ეკა მოსიაშვილი--



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, ---წევრი--ნანა ჩავლეშვილი--

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--მზია შევარდნაძე-

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--მიმოზა ტყებუჩავა-

სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი -ლია ნეფარიძე-

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-მანანა როსტომაშვილი-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**თარიღი: 29.11.2023 წელი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------